ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და ვლეხთა მთავრობისა.

1930 წლის სექტემბრის 15.	№ 17 ვანყოფილება პირველი	ა/კსფსრ სახალ. კომისართა საბჭოს საკმეთა მმართველობის მიერ გამოცემული.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

მუხ. 182. 1930/31 წელს ბამბის მოკრეფის კამპანიის ჩატარების შესახებ.

„ 183. 1930/31 წლისათვის წყლის გამოსაღების შესახებ.

„ 184. ა/კსფსრ მებამბეობის განვითარების 1930/31 წლის საკონტროლო ციფრების შესახებ.

„ 185. „ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული შრომის ბაზრის საბჭოს დებულების“ მე-2 მუხლის დამატების შესახებ.

„ 186. იმ მებამბეთა შესახებ, რომელთაც ბოროტი განზრახვით არ დათესეს ბამბა, იმ მებამბეთა შესახებ, რომელთაც არ შეასრულეს საკონტრაქტაციო ვალდებულებანი და იმ მებამბეთა დაპრემირების შესახებ, რომელთაც შეასრულეს საკონტრაქტაციო ვალდებულებანი.

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

№ 276.

182. 1930-31 წელს ბამბის მოკრეფის კამპანიის ჩატარების შესახებ.

რადგანაც უაღრესი მნიშვნელობა აქვს ბამბის მოკრეფის კამპანიას, მისი მოსავლის სისავსით აღებას და მრეწველობისათვის ბამბის ბოჭკოს თავის დროზე ჩაბარებას, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო,—იღებს-რა მხედველობაში წარსული წლის ნაკლთ, რამაც თავი იჩინა მოსავლის რეალიზაციის დროს,—ადგენს:

1. წინადადება მიეცეს:

ა) სამებამბეო კოოპერაციას—10 დღის ვადაზე წარუდგინოს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს დაწვრილებითი განცხადება (ბამბის რაიონებისა, ფაქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიურ გადაყვანათა რაოდენობისა და ვადების აღნიშვნით) იმ მუშა-ხელის რაოდენობის შესახებ, რაც საჭიროა ნედლი ბამბის მოკრეფის დროს მოსალოდნელი დეფიციტის დასაფარავად;

ბ) ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს—ერთი კვირის ვადაზე შეუთანხმდეს ხელშეკრულობის სახით სამებამბეო კოოპერაციას მინდვრის მუშაობის შეკოდნე საჭირო რაოდენობის მუშა-ძალის მიშველების თაობაზე და უზრუნველჰყოს ამ მუშა-ძალის თავის დროზე წარგზავნა;

- გ) ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატს—მოაწყოს სოფლად, იქ, სადაც მოიპოვება ზედმეტი მუშა-ძალა, მოძრავი პუნქტები მუშების შესაკრებად და გაჭირვებულ რაიონებში გასაგზავნად.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, მთავარი სამებამბეო კომიტეტის რწმუნებულს, ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს და სამებამბეო კოოპერაციას მიიღონ ღონისძიებანი თვით სბამბე მეურნეობათა მუშა-ძალის შინაგანი რესურსების ორგანიზაციისა და მაქსიმალურად გამოყენებისათვის.

3. საგლეხო მინდვრებზე ნედლი ბამბის მოკრეფის მიზნით სამებამბეო რაიონების მუშა-ძალით უზრუნველყოფასთან ერთად—საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა მუშა-ძალით უზრუნველყოფილ იქნენ აგრეთვე საბჭოთა სბამბე მეურნეობანი (მოსაკრეფად) და ბამბა-საწმენდი ქარხნები (ქარხანაში სამუშაოდ). ამის გამო წინადადება მიეცეს მთავარი სამებამბეო კომიტეტის რწმუნებულს—შეუდგეს საჭირო რაოდენობის მუშათა მოგროვებას; ამასთანავე დაეკალოს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს თავის დროზე უზრუნველჰყოს მთავარი სამებამბეო კომიტეტის რწმუნებული მუშა-ძალის დანაკლისი ნაწილით, რაზედაც დაუდგას მას ხელშეკრულობა.

4. წინადადება მიეცეს ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატს, ა/კ. რკინის გზების დირექციას, ა/კ. რკინის გზათა მშენებლობის სამმართველოს და კასპის ხევის ნაოსნობის სამმართველოს—ძიიღონ ღონისძიებანი და დაანწესონ მეღავათინანი ტარიფები (არა უმცირეს ნამდვილი ღირებულობის 50%-ის მონაკლებისა) მუშათა გადაყვანისათვის მათი მოგროვების ადგილიდან სამუშაო ადგილამდე და წინაუკმოდ.

5. დაეკალოს მთავარ სამებამბეო კომიტეტის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში გადასდოს საჭირო სახსარი მუშების გადასაყვანად სხვადასხვა ადგილიდან რკინის გზისა თუ წყალსავალი გზის დანიშნულების სადგურამდე.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატმა, მთავარი სამებამბეო კომიტეტის რწმუნებულმა და ა/კ. სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა კავშირმა ხუთი დღის განმავლობაში უნდა გამოარკვინონ იმ მუშათა რაოდენობა, რომელნიც უნდა გაიგზავნონ სხვადასხვა ადგილებიდან და ამისათვის საჭირო სახსარი.

6. ნედლი ბამბის კოოპერაციის შესყიდვის პუნქტებამდე და ამ პუნქტებიდან ბამბ-საწმენდ ქარხნებამდე დაუცადებელი და თავის დროზე გადაზიდვის წესის განხორციელება დაეკისროს სამებამბეო კომიტეტის რწმუნებულთან და ამ უკანასკნელის საერთო მეთვალყურეობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთანავე, დაეკალოს მთავარი სამებამბეო კომიტეტის რწმუნებულს—გასაცეს ავანსები გადაზიდვის სასყიდლის ანგარიშით ნედლი ბამბის ტრანსპორტირების ორგანიზაციისათვის, ხოლო ა/კ. ვაპრობის სახალხო კომისარიატმა 10 დღის განმავლობაში უნდა დააწესოს ტვირთის გადაზიდვის ანგარიშგასწორების ფასები, უკეთუ მთავარი სამებამბეო კომიტეტის რწმუნებულსა და სამებამბეო კოოპერაციის შორის შეთანხმება არ მოხდება.

7. ბამბის ტრანსპორტირების დასაჩქარებლად ფრახტის ღირებულობის 30%-დე იმ გადამზიდველთ, რომელნიც მუშაობენ არტელობრივად ან ნაკრობრივ-ინდივიდუალურად ხელშეკრულობის საფუძველზე კოოპერაციასთან, მიეცეს ნატურად—ფურაჟით.

წინადადება მიეცეს ა/კ. ვაპრობის სახალხო კომისარიატს გამოარკვიოს, სამებამბეო კოოპერაციასთან და მთავარი სამებამბეო კომიტეტის რწმუნებულთან ერთად, ორი დეკადის ვადაზე, ზემოაღნიშნული ანგარიშის მიხედვით, საჭირო ფურაჟის რაოდენობა—როგორც მოცულობითი ფურაჟისა, ისე მარცვლეული ფურაჟისა—შესაყიდვის კამპანიის პერიოდისათვის. ამ მიზნით წინასწარვე დაბრონირებულ უნდა იქნეს 6.000 ტონნა ბამბის წეწონი და 10.000 ტონნა ჩენჩი. ა/კ. ვაპრობის სახალხო კომისარიატმა უნდა გამოჰყოს მოცულობითი და მარცვლეული ფურაჟი ღირებულობით 90.000 მანეთამდე. ამავე დროს წინადადება მიეცეს სამებამბეო კოოპერაციას მოაწყოს საბაზისო საწყობები გადამზიდველთათვის ფურაჟის მისაწოდებლად.

8. წინადადება მიეცეს სამებამბეო კოოპერაციას—დაუყოვნებლივ შეუდგეს ტრანსპორტის მოწყობას, და ნედლი ბამბის გადასაზიდად სავსებით გამოიყენონს როგორც კოლექტიური მეურნეობებისა და მანქანა-ცხენიანი კოლონებისა, ისე ინდივიდუალურ საბამბე მეურნეობების საწევი ძალა; აგრეთვე იმაროს ლონისძიება, რათა გამოყენებულ იქნეს არასაბამბე რაიონების საგლეხო მეურნეობათა ზედმეტი საწევი ძალა მთთან სათანადო ხელშეკრულობების დადებით.

9. დაევალოს სამებამბეო კოოპერაციას 1930 წ. ოქტომბრის 1-თვის შეამზადოს საბამბე რაიონებში სარემონტო სახელოსნოები და უზრუნველჰყოს ეს სახელოსნოები სათანადო გაწყობილობით და მასალით სატრანსპორტო საშუალებათა სარემონტოდ. ხოლო იმ საბამბე რაიონებში, სადაც სარემონტო სახელოსნოები არ მოიპოვება, მოაწყოს ეს სახელოსნოები არა უგვიანეს ოქტომბრის 1-სა.

ამავე დროს წინადადება მიეცეს მთავარი სამებამბეო კომიტეტის რწმუნებულს მოაგვაროს ბამბა-საწმენდი ქარხნების სახელოსნოები ჭაპანზიდვის ტრანსპორტის შესაკეთებლად.

10. წინადადება მიეცეს ა/კ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატსა და ა/კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიას (სამშენებლო სექტორის ხაზით) უზრუნველჰყონ აღნიშნული სახელოსნოების საჭიროებანი რკინით და ხე-ტყის მასალით; ხოლო სამებამბეო კოოპერაციამ და მთავარი სამებამბეო კომიტეტის რწმუნებულმა, არა უგვიანეს ა/წ. სექტემბრის 15-სა, წარადგინონ განცხადება ამ მასალების თაობაზე, რაოდენობისა და მიზიდვის ვადების აღნიშვნით.

11. რათა სატრანსპორტო დახმარება გაეწიოს ნაკლებად უზრუნველყოფილ კოლექტიურ მეურნეობებსა და ინდივიდუალურ დარიბ მეურნეობებს, მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალის რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—გამოსცენ ორი კვირის ვადაზე დადგენილება კულაკური მეურნეობების სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენების წესის შესახებ.

12. რათა ტრანსპორტი მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული და აგრეთვე გაიაფებულ იქნეს გადაზიდვა, წინადადება მიეცეს მთავარი სამებამბეო კომიტეტის რწმუნებულსა და სამებამბეო კოოპერაციას—ტრანსპორტის საუკუცეო რეისის დროს გამოყენებულ იქნეს იგი იმ ტვირთისათვის, რაც ბამბის მოსველთა მოსამარაგებლად იგზავნება.

13. მიენდოს აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და წინადადება მიეცეს კასპის ზღვის ნაოსნობის სამმართველოს—უზრუნველჰყონ, მთავარი სამებამბეო კომიტეტის რწმუნებულისა და სამებამბეო კოოპერაციის განცხადებებისამებრ, საჭირო რაოდენობის ტონნაჟი მდინარე მტკვარზე ბამბისა და სამებამბეო კამპანიისთან დაკავშირებული სხვა ტვირთის დაუცადებელი და თავის დროზე გადაზიდვისათვის.

14. წინადადება მიეცეს სსრკ-ის ტრანსპორტის სამმართველოს ამერკავკასიის კონტორას, სამებამბეო კოოპერაციასთან და მთავარი სამებამბეო კომიტეტის რწმუნებულთან დადებული ხელშეკრულებისამებრ, გამოჰყოს და მოაწყოს ავტო-კოლონნა სპეციალურად ნედლი ბამბისა და სამებამბე ტვირთის აგდამ-ევლახის ტრაქტით და წინაუკმოდ გადასაზიდავად, ხოლო ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულმა საშემოდგომო მიმოზიდვის თათბირმა განსაზღვროს გადაზიდვის ღირებულობა.

15. წინადადება მიეცეს ა/კ. რკინის გზების დირექციას და ა/კ. რკინის გზათა მშენებლობის სამმართველოს უზრუნველჰყონ საჭირო რაოდენობის ვაგონების მიყენება ბამბისა და ბამბის მოკრეფის კამპანიისათვის საჭირო სხვა ტვირთის თავის დროზე გადასაზიდავად მთავარი სამებამბეო კომიტეტისა და სამებამბეო კოოპერაციის განცხადებების თანახმად.

16. დაეკალოს ა/კ. გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარ სამმართველოს ა/წ. ოქტომბრის 1-მდე მოიყვანოს სათანადო მდგომარეობაში ა/კსფსრ სამებამბე რაიონებში მომქმედი გზატკეცილები, ყამირგზები, ხიდები და ბორნები, ხოლო პირველ რიგში—სალიან-მუღანისა და ყარაბაღის რაიონებში.

17. ბამბის თავის დროზე სავსებით მოკრეფისა და სყიდვის პუნქტებში მიზიდვის ორგანიზაცია დაეკალოს სამებამბეო კოოპერაციას და სასოფლო საბჭოებს. ამის გამო წინადადება მიეცეს სამებამბეო კოოპერაციას იხმაროს ღონისძიება ბამბის მოსავლის თავის დროზე და სავსებით აღების უზრუნველსაყოფად, კერძოდ—მინდვრების სისტემატიურად დავლით და თავის წევრებზე საზოგადოებრივი ზედგავლენით.

იმ მეურნეობათა მიმართ, რომელნიც თავს აარიდებენ ბამბის მოკრეფას, სამებამბეო კოოპერაციამ უნდა მოაწყოს მოკრეფა ადგილობრივი აქტივისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღარიბთა და მოჯამაგირეთა და საშუალო გლეხთა მასსების საქმეში ჩაბმით და საამისო ხარჯი მიაწეროს მოკრეფილი ნედლი ბამბის ღირებულობას.

რადგანაც წარსულ წლებში თვალსაჩინო რაოდენობის დაბალი ხარისხისა და ნაკირტნი ბამბა მოუკრეფელი რჩებოდა მინდვრად,—მიენდოს მთავარი სამებამბეო კომიტეტის რწმუნებულსა და სამებამბეო კოოპერაციას შეიმუშაონ საბანადო ინსტრუქცია, ხოლო სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა და სასოფლო საბჭოებმა მოაწყონ მეთვალყურეობა და ბამბის მოკრეფის აღნუსხვა.

18. მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოს:

ა) დაავალონ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა, სასოფლო საბჭოებსა და სამებამბეო კოოპერაციას, რათა მათ დაამყარონ სასწრაფოდ მეთვალყურეობა კულაკური მეურნეობების მიერ ნედლი ბამბის მოკრეფისა და ჩაბარებისათვის და, უკეთუ გამოაშკარავებულ იქნება, რომ ვინმემ ბამბის მოკრეფასა და ჩაბარებას და ავანსების დაფარვას თავი აარიდა,—სათანადო შემთხვევაში პასუხისგებაში მისცენ იგი სისხლის სამართლის წესით და გადაახდევინონ მას ავანსი (უდაო წესით) და პირგაუტეხლობის ჯარიმა დადებული ხელშეკრულობის თანახმად;

ბ) წინადადება მისცენ სასამართლო ორგანოებს, რათა ბოროტი განზრახვით მომქმედ მოესველთა და იმ პირთა საქმეები, რომელნიც არ ჩაბარებენ ბამბას, გადასწყვეტონ არა უგვიანეს ორი კვირისა საქმის მიღების დღიდან და ამ საქმეებზე მოაწყონ ხოლმე საჩქენებელი პროცესები.

19. დაეკალოს სამებამბეო კოოპერაციას ბამბის რეალიზაციის კამპანიის დაწყებიდანვე დაწესოს სადეკადო აღნუსხვა სახელშეკრულობო ვალდებულობათა აღსრულებისა კოლექტიურ მეურნეობათა და კოოპერატიულ ამხანაგობათა მიერ ცალ-ცალკე—სოციალური ჯგუფების ხაზით.

20. მიენდოს სამებამბეო კოოპერაციას მიიღოს ღონისძიება, რათა ბამბა ადგილობრივ არა რჩებოდეს და რათა ბამბის მოსავლის აღების სასყიდელი ბამბოთვე არ იქნეს გაცემული, ხოლო საამისოდ შეფარდებულ არ უნდა იქნეს ადმინისტრატიული ღონისძიება. ამავე დრო ს წინადადება მიეცეს მთავარი სამებამბეო კომიტეტის რწმუნებულსა და ა/კ. სამომხმარებლო კოოპერატიულ ამხანაგობათა კავშირს მოაწყონ ბამბის მოესველთა ქულა-ბამბით და ბამბის ლინტერით მომარაგება.

21. მიენდოს ა/კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციას მოაწყოს სასწრაფო შემოწმება იმისა, თუ რამდენად მომზადებულ არიან სამებამბეო კოოპერაცია, ბამბა-საწვნედი ქარხნები და სხვა ორგანიზაციები, რომელთაც კავშირი აქვთ ბამბის მოსავლის აღების კამპანიასთან.

22. დაწესებულ იქნეს და მიეცეს სახელმძღვანელოდ მთავარი სამებამბეო კომიტეტის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში და სამებამბეო კოოპერაციას შემდეგი საორიენტერო ასსორტიმენტი ნედლი ბამბისა 1930-31 წლის სეზონისათვის:

I ხარისხი გადარჩეული	1,0%	მინუს	22,5%
„ „ ნორმალური	59,0%	„შეეფუმოკ"-ი . .	8,0%
„ „ დანაგვიანებული . .	0,5%	მე-II ხარისხი . .	5,0%
		მე-III ხარისხი . .	4,0%.

ეროვნული ბიბლიოთეკა № 117

23. დაწესებულ იქნეს—კოოპერაციის მიერ ბამბის მთესველებთან 1930 წ. მოსავლის ნედლი ბამბისათვის ანგარიშის გასასწორებლად შემდეგი ხარისხოვნობითი ფასები:

ა) ამერიკული თესლის ნედლი ბამბისათვის:

I ხარისხი	5	მან.	35	კაპ.	ფუთი ან 32,6	კაპ. კილოგრ.
„ „ ნორმალური	5	„	20	„	„ „ 31,7	„ „
„ „ დანაგვიან. და მინუს	4	„	90	„	„ „ 29,9	„ „
„მეყეუმოკ“-ი	4	„	50	„	„ „ 27,5	„ „
მე-II ხარისხი	4	„	20	„	„ „ 25,6	„ „
მე-III ხარისხი	3	„	90	„	„ „ 23,8	„ „

24. სამებამბეო კოოპერაცია, მიიღებს-რა ბამბის მთესველთაგან ნედლ ბამბას ხარისხოვნობით და ამა დადგენილების 23 მუხლში აღნიშნულ ფასად, მთლად მიღებულ ბამბას დახარისხებული სახით ჩაბარებს მთავარი სამებამბეო კომიტეტის რწმუნებულს ხუთ-ხუთ მანეთად ფუთს ან 30,5 კაპიკად კილოგრამს, შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილების თანახმად, ყველა ხარისხის ნედლეულს ამერიკული თესლისას, ნაკირტნის გარდა.

სეზონის ბოლოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ თვითეულ რესპუბლიკაში ცალ-ცალკე გამოირკვევა სამებამბეო კოოპერაციის მიერ ბამბის მთესველთათვის ფაქტიურად გადახდილი საშუალო ფასი ერთ ფუთ ან კილოგრამ ნედლ ბამბაზე და აგრეთვე გამოირკვევა საერთო თანხა გადაუხდელი საშუალო ფასისა (ფუთზე ხუთი მან.), რაც (გადაუხდელი თანხა) მთლად გადაირიცხება სამებამბეო კოოპერაციის საათანადო რესპუბლიკის კავშირის სარეზერვო ფონდში. აღნიშნული ფონდიდან 1931 წელს ბამბის თესვის ორგანიზაციის პერიოდში მთესველთ მიეცემათ გადაუხდელი ნაწილი განსაზღვრული საშუალო ფასისა—5 მან. ფუთზე ან 30,5 კაპ. კილოგრამზე.

საშუალო ფასის გადაუხდელი ნაწილი მიეცემათ იმ ბამბის მთესველთ:

ა) რომელთაც შეასრულეს თავიანთი ვალდებულებანი ნედლი ბამბის ჩაბარების თაობაზე დადებული საკონტრაქტაციო ხელშეკრულობების თანახმად არა ნაკლებ, ვიდრე 95%-ის რაოდენობით;

ბ) რომელთაც შეასრულეს თავიანთი ვალდებულებანი ნაკლები მასშტაბით სტიქიურ უბედურებათა გმმო, რაც დადასტურებულ უნდა იქნეს ხელშეკრულობებში აღნიშნული წესით.

სხვა რამეზე გამოყენება სარეზერვო ფონდისა არ შეიძლება.

25. დატოვებულ იქნეს ძალაში 1929-30 წლის სეზონში მომქმედი ყველა ხარისხის ნედლი ბამბის სტანდარტები.

წინადადება მიეცეს სამებამბეო კოოპერაციას იხელმძღვანელოს ნედლი ბამბის ის დახარისხება, რასაც აწარმოებს ბამბა-საწმენდ ქარხნებში მთავარი სამებამბეო კომიტეტის რწმუნებულის აპარატი.

26. რათა კონტროლი გაეწიოს ნედლეულის სათანადო დახარისხებას, რასაც აწარმოებს სამებამბეო კოოპერაცია მთესველთაგან ბამბის მიღების დროს, მიენდოს მთავარი სამებამბეო კომიტეტის რწმუნებულს მოაწყოს თვითეულ მომქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედ ბამბა-საწმენდ ქარხანასთან შემმოწმებელი კომისია ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტისა, ბამბა-საწმენდი ქარხნისა და სამებამბეო კოოპერაციის რესპუბლიკანური კავშირის წარმომადგენელთაგან; ასეთი კომისიის მუშაობისათვის მეთვალყურეობისა და ხელმძღვანელობის გაწევა დაეკისროს ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს.

27. დაწესებულ იქნეს ნედლი ბამბის შესყიდვის შემდეგი საკალენდრო გეგმა, როგორც სავალდებულო მინიმუმი:

თვე	შესყიდვა კოოპერაციის მიერ	მთ. სამებ. კ-ტის რწმუნთვის ჩაბარება.
სექტემბერი	1%	1%
ოქტომბერი	40%	38%
ნოემბერი	42%	40%
დეკემბერი	17%	18%
იანვარი	—	3%

28. საფეიქრო მრეწველობის ნედლეულით თავის დროზე მომარაგებისათვის და ბამბა-საწმენდი ქარხნების დაუცადებელი მუშაობისათვის შესყიდვის სეზონის დაწყებისას შემოღებულ იქნეს იმ ბამბის მთესველთა დაპრემირება ორი მეტრი ბამბეული მანუფაქტურით და $^1/_2$ კილოგრ. შაქრით ერთ ცენტნერ ჩაბარებულ ნედლ ბამბაზე, ვინც ნედლ ბამბას ა/წ. ოქტომბრის 10-მდე ჩააბარებს. წინადადება მიეცეს ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატს გამოჰყოს სპეციალური და სათანადო რაოდენობის სამრეწველო საქონლის ფონდი.

1930 წ. ოქტომბრის 10-დე ჩაბარებული ნედლი ბამბისათვის ანგარიშის გასწორების დროს კოოპერაციის მიერ მთესველთათვის მიცემული ავანსებით დავალიანების დასაფარავად მიქცეულ იქნეს არა უმეტეს ჩაბარებული ნედლი ბამბის ღირებულობის 50%-სა.

29. მიეცეს აზერბაიჯანის სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს ყურადღება იმ გარემოებას, რომ შეუწყნარებელია აზერბაიჯანის კოოპერატიული მშენებლობის სამმართველოს მხრით პახსარაიების მშენებლობის ასე დაგვიანება და წინადადება მისცეს ამ უკანასკნელს, შესყიდვის კამპანიის ჩაშლის თავიდან ასაცილებლად, იხმაროს სასწრაფო ღონისძიება მშენებლობის დაჩქარებისათვის ისეთი ვარაუდით, რომ იგი დამთავრებულ იქნეს ა/წ. ოქტომბრის 1-თვის.

30. რადგანაც შეუძლებელია, რომ სამებამბეო კოოპერაციამ შესყიდვის კამპანიის პერიოდში ბრეზენტები სრულად მიიღოს თავისი განკცხადებისამებრ, წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—გამოსცენ სათანადო დადგენილება სხვა ორგანიზაციებში ზედმეტი ბრეზენტების მობილიზაციის შესახებ, და ეს ბრეზენტები შესყიდვის კამპანიის პერიოდში გადაეცეს სამებამბეო კოოპერაციას დროებითი სარგებლობისათვის, ხოლო ამით არავითარი ზიანი არ უნდა მიადგეს პურეულის შენახვის საქმეს.

31. ცნობილ იქნეს საჭიროდ—1930-31 წ. სეზონში ა/კსფსრ ყველა საბამბე რაიონში ბამბის მთესველების ბარდანებით მომარაგების სისტემაზე გადასვლა ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარდანების მათთვის მიყიდვით შემდეგი ნორმის თანახმად: სამი ბარდანა სამ-მეტრიანი რაევნდუკისაგან თითო ჰექტარ მოსაკრეფი ბამბის ნათესზე; მიენდოს სამებამბეო კოოპერაციას ფართოდ აუწყოს ბამბის მთესველებს, რომ შემდეგში ყოველ წელს, შესყიდვის პერიოდში, მათ მიეცემათ არა უმეტეს ერთი ბარდანისა თითო ჰექტარ მოსაკრეფი ბამბის ნათესზე.

გაცემული ბარდანების ღირებულობა დაეჭიროს ბამბის მთესველთ ნედლი ბამბის ჩაბარების დროს.

ცნობილ იქნეს საჭიროდ, რათა ბამბის მთესველებს აენაზღაუროს ბარდანების ცვეთა და მიეცეს მათ საამისოდ სამ-სამი კაპიკი სამებამბეო კოოპერაციისათვის ჩასაბარებელ ადგილამდე მიზიდულ თითო ფუთ ნედლ ბამბაზე.

დაევალოს მთავარი სამებამბეო კომიტეტის რწმუნებულს გადასცეს სამებამბეო კოოპერაციას საჭირო რაოდენობის ბარდანები მიმღები პუნქტებიდან ბამბა-საწმენდ ქარხნებამდე ნედლი ბამბის გადასაზიდავად.

აეკრძალოს ბამბის მთესველთ ბარდანების სხვისთვის მიყიდვა, ხოლო უკეთუ ეს საჭირო იქნება, ნება დაერთოს ხოლმე მათ მიჰყიდონ ბარდანები ბამბა-საწმენდ ქარხნებს ან სამებამბეო კოოპერაციას.

წინადადება მიეცეს მთავარი სამებამბეო კომიტეტის რწმუნებულს მოაწყოს ბარდანების სამანევრო რეზერვი 30.000 ცალის რაოდენობით იმ შემთხვევისათვის, უკეთუ საჭირო იქნება შესყიდვის კამპანიის სეზონში დაიფაროს ამა თუ იმ რაიონის დეფიციტი.

32. მოსავლის აღების კამპანიის პერიოდში გასაცემი პურის ნორმა განისაზღვროს შემდეგი ვარაუდით: სამ ფუთ ჩაბარებულ ნედლ ბამბაზე თითო ფუთი პური მარცვლად და ეს პური გაიცეს 1931 წ. იანვრამდე იმ ვადებში, რაც შეთანხმებულ იქნება მთავარი სამებამბეო კომიტეტის რწმუნებულსა და „სოიუზ-ხლებ“-ს შორის; ამასთანავე, დაევალოს „სოიუზხლებ“-ს პირველი კვარტალის განმავლობაში შემოზიდოს არა ნაკლებ 2.500.000 ფუთისა, ხოლო იმ პირობით, რომ 1930 წ. ოქტომბრის 1-თვის საბამბე რაიონებში შეზიდულ იქნეს არა ნაკლებ 12.000 ტონნა მარცვლეულისა.

33. მიენდოს ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, მთავარი სამებამბეო კომიტეტის რწმუნებულს და ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ ამხანაგობათა კავშირს პურის გაცემის ნორმების დიფერენციაცია მოახდინონ სოციალური ნიშნების მიხედვით და საბამბე რაიონებზე, რისთვისაც მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს ამა თუ იმ რაიონის გაპირების ოდენობა დამტკიცებული კონტინგენტის ფარგლებში.

34. მიღებულ იქნეს შემდეგი საფუძველი პურით მომარაგების დიფერენციაციისათვის სოციალური ჯგუფების მიხედვით:

100% როგორც საფუძველი პურის გაცემის ნორმისა—ღარიბ და საშუალო მეურნეობებისათვის;

110% კოლექტიურ მეურნეობებისათვის;

90% ყველა დანარჩენი ინდივიდუალური საგლეხო მეურნეობისათვის, რომელიც სასოფლო-სამეურნეო გადასახადს უზედნართოდ იხდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდივიდუალური წესით დაბეგრილი საგლეხო მეურნეობების მიმართ პურითა და სამრეწველო საქონლით მომარაგება არ იქნეს გატარებული.

35. მთავარი სამებამბეო კომიტეტის რწმუნებულმა ხუთი დღის ვადაზე უნდა წარუდგინოს „სოიუზხლებ"-ს განწესი, რომელშიაც ზედმიწევნით აღნიშნულ უნდა იქნეს ტვირთი, მიმღები, რაოდენობა და გაგზავნის საკალენდრო ვადა.

36. მებამბეობის განვითარების წასახალისებლად, აგრეთვე სარეალიზაციო კამპანიის წარმატებით მსვლელობის უზრუნველსაყოფად დაწესებულ იქნეს ბამბის შესყიდვის კამპანიის პერიოდში საგარანტიო მომარაგება ბამბის მთესველებისა სამრეწველო საქონლით შემდეგი ნორმების მიხედვით თვითეულ ფუთ ჩაბარებულ ნედლ ბამბაზე:

1,2 მეტრი ბამბეული;
150 გრამმი შაქარი;
15 „ ჩაი;
100 „ ბამბის ზეთი;
100 „ საპონი;

ორი წყვილი გალოში თითო მეურნეობაზე;

ტყავეული საქონელი ან ფეხსაცმელი 6 მანეთისა თითო მეურნეობაზე

და ჩაბარებული ნედლი ბამბის ღირებულობის 10%-სა—სხვა საქონელი, როგორიც არის: სილიკატები, რკინის ნაკეთობა, ჭურჭლეული, მარილი, ასანთი, რკინეული, სასარაჯო მასალა და სხვ.

შენიშვნა. მთავარი სამებამბეო კომიტეტის რწმუნებული, ა/კ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ ამხანაგობათა კავშირთან შეთანხმებით, შეადგენს ინსტრუქციას სამრეწველო საქონლით და პურით იმ მეურნეობათა მომარაგების შესახებ, რომელთაც მთლად არ შეასრულეს თავიანთი ვალდებულებანი ბამბის ჩაბარების სფეროში.

37. ამის უზრუნველსაყოფად და იმ გეგმის მიხედვით, რომ დამზადებულ უნდა იქნეს 7 მილიონი ფუთი ნედლეული და რომ 150.000 მეურნეობაა, —წინადადება მიეცეს ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატს და ა/კ. სამომხმარებლო კოოპერატიულ ამხანაგობათა კავშირს—უზრუნველყონ შემოსიდვა პირველ კვარტალში შემდეგი საქონლის სამრეწველო საქონლის კონტინგენტისა: ბამბეული მანუფაქტურა 8.400.000 მეტრი, შაქარი—1.050 ტონნა, ჩაი—105 ტონნა, ბამბის ზეთი—700 ტონნა, სარეცხის საპონი—700 ტონნა, გალოშები—300.000 წყვილი, ტყავეული საქონელი და ფეხსაცმელი—900.000 მანეთისა, სხვა სამრეწველო საქონელი—3.500.000 მანეთისა.

ამავე დროს დაეკალოს ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატსა და ა/კ. სამომხმარებლო კოოპერატიულ ამხანაგობათა კავშირს დაუყოვნებლივ იხმარონ საპირო ღონისძიება, რათა ამ საქონლის ნაწილი სასწრაფოდ დატვირთულ იქნეს, არა უგვიანეს სექტემბრისა, ისეთი ვარაუდით, რომ იგი ადგილებზე მიიღონ სექტემბრის დამდეგს.

38. დაეკალოს მთავარი სამებამბეო კომიტეტის რწმუნებულსა და ა/კ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ ამხანაგობათა კავშირს წარადგინონ სადე-

კადო ვადის განმავლობაში ა/კ. სამომხმარებლო კოოპერატიული ამხანაგობათა კავშირში განწესი ამ საქონლის რესპუბლიკებზე და თვეებზე, ხოლო სამებამბეი კოოპერაციის რესპუბლიკანურ ცენტრებს დაეკალოს წარუდგინონ იგივე ცნობები რაიონობითი ხაზით სამომხმარებლო კოოპერაციის რესპუბლიკანურ ცენტრებს არა უგვიანეს სექტემბრის 10-სა.

39. ბამბის ჩაბარებისა და ავანსების დაფარვის ვალდებულებათა 100%-ით შესრულებისათვის დაწესებულ იქნეს განსაკუთრებული დაპრემირება საქონლით, რისთვისაც მიენდოს ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, მთავარი სამებამბეო კომიტეტის რწმუნებულსა და სამებამბეო კოოპერაციას განსაზღვრონ 10 დღის ვადაზე დაპრემირების წესი, რაოდენობა და ფონდები და გამონახონ საჭირო წყარო ამის დასაფარავად.

40. წინადადება მიეცეს ა/კ. სამომხმარებლო კოოპერატიულ ამხანაგობათა კავშირს მისცეს კატეგორიული დირექტივები თავის სისტემას, რომ ბამბის მთესველთათვის გადადებული სამრეწველო საქონლის სხვა მიზნებისათვის გამოყენება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.

სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა უნდა მოაწყონ საზოგადოებრივი კონტროლი სამრეწველო საქონლის თავის დროზე და სათანადოდ განაწილებისათვის, და, უკეთუ აღმოჩენილ იქნება, რომ სამრეწველო საქონელი გამოყენებულია არადანიშნულებისამებრ, დამნაშავენი დაუყოვნებლივ მისცენ პასუხისგებაში.

41. წინადადება მიეცეს მთავარი სამებამბეო კომიტეტის რწმუნებულს— თვითეულ ორ საადმინისტრაციო რაიონზე დანიშნოს თითო პასუხისმგებელი რწმუნებული ბამბის მოკრეფის კამპანიისათვის.

42. კატეგორიულად აიკრძალოს, მთავარი სამებამბეო კომიტეტის რწმუნებულისა და სამებამბეო კოოპერაციის რესპუბლიკანური ცენტრების თანხმობის გარეშე, მებამბეობის დარგის მომუშავეთა ყოველგვარი მობილიზაცია, ან მათი სხვა სამუშაოზე გაგზავნა.

43. წინადადება მიეცეს მთავარი სამებამბეო კომიტეტის რწმუნებულს გამოსცეს, არა უგვიანეს ა/წ. სექტემბრის 10-სა, განაწეს-ინსტრუქცია მომდინარე წლის ბამბის მოკრეფის კამპანიისათვის; ეს განაწეს-ინსტრუქცია შეთანხმებულ უნდა იქნეს სათანადო ორგანიზაციებთან და დაიბეჭდოს და გავრცელდეს ძირითად ეროვნულ ენებზე სათანადო რაოდენობით.

44. წინადადება მიეცეს სამებამბეო კოოპერაციის რესპუბლიკანურ ცენტრებს მოაწყონ, სარაიონო კავშირების მეშვეობით, მოსავლის აღების კამპანიის გეგმის განხილვა მოჯამაგარეთა და ღარიბთა მასსების საერთო კრებებზე და სასოფლო საბჭოებისა და კოლექტიურ მეურნეობების საწარმოო თათბირებზე, აგრეთვე მთლად თავისი ქვედა ქსელის მასშტაბით, და გეგმის მიწვდენა თვითეულ სოფლამდე და კოლექტიურ მეურნეობამდე დამთავრებულ იქნეს არა უგვიანეს ა/წ. სექტემბრის 25-სა.

45. წინადადება მიეცეს სამებამბეო კოოპერაციის რესპუბლიკანურ ცენტრებსა და კოლექტიური მეურნეობათა ცენტრებს მოსავლის აღების კამპანიის პე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიოდში მოაწყოს და ფართოდ გაშალონ სოციალური შეჯიბრებანი ცალკეულ რაიონებსა, სოფლებსა და კოლექტიურ მეურნეობებს შორის.

46. წინადადება მიეცეს სამებამბეო კოოპერაციის რესპუბლიკაზურ ცენტრებს ვალდებულჰყონ თავიანთი სარაიონო კავშირები და შემსყიდველი პუნქტები—ცნობები მოსავლის აღების კამპანიის შესახებ წარუდგინონ ხოლმე ბამბასაწშენდ ქარხნებს მთავარ სამებამბეო კომიტეტს რწმუნებულთან შეთანხმებული ფორმით: ხუთდღიანი სატელეგრაფო—შემდეგი ხუთდღეულის პირველ დღეს, სადეკადო ცხრილიანი—ყოველ დეკადაზე, შემდეგი დეკადის პირველ დღეს, რისთვისაც თვითეულ სარაიონო კავშირში და შემსყიდველ პუნქტზე გამოყოფილ უნდა იქნეს ცნობების წარდგენისათვის პასუხისმგებელი პირი.

47. რადგანაც ხშირია შემოხვევები ბამბის მთესელთა ხანდაზმით მომარაგებისა და, საერთოდ, ადგილებზე ეს მომარაგება არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, მიენდოს ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, „სოიუზხლებ"-ის ამერკაკასიის კონტორას, ა/კ. სამომხმარებლო კოოპერატიულ ამხანაგობათა კავშირს და მთავარი სამებამბეო კომიტეტის რწმუნებულს—იქონიონ სისტემატიური მეთვალყურეობა გეგმით დასახული სამრეწველო და სასურსათო საქონლის დროზე შემოზიდვისათვის, რისთვისაც იმბარონ ყოველი ღონისძიება სამომხმარებლო კოოპერაციის ქვედა ორგანიზაციების განსამტკიცებლად და ბამბის მთესველთათვის ნორმალური მომსახურეობის გასაწევად.

მიენდოს ა/კ. სამომხმარებლო კოოპერატიულ ამხანაგობათა კავშირს გამოიკვლიოს წინამდებარე მოსავლის აღების კამპანიის პერიოდში სამომხმარებლო კოოპერაციის ქვედა ქსელის შდგომარეობა სამებამბეო რაიონებში—მისი ინსტრუქტორებისა და განმტკიცების მიზნით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ეგიაზარიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ა. ბანოვიჩი.**

1930 წ. აგვისტოს 28.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 240 №-ში 1930 წ. სექტემბრის 6-ს.

№ 277.

183. 1930-31 წლისათვის წყლის გამოსაღების შესახებ.

„წყლის გამოსაღების დებულების სამოქმედოდ შემოღების შესახებ" გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აგვისტოს 12-ის დადგენილების თანახმად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. მიენდოს ა/კსფარ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დააწესონ:

ა) წყლის გამოსაღების განაკვეთები სოფლად სარწყავი მიწებისა და წყალმომქმედ საწარმოთა შემოსავლის დასაბეგრად ცალკეული ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური ერთეულებისათვის ან ცალკეული წყლის სისტემებისათვის და აგრეთვე ცალკეული სახის საწარმოთათვის;

ბ) მტკიცე განაკვეთის რაოდენობა კოლექტიურ მეურნეობებისათვის ცალკეულ ადგილებში, იმ პირობით, რომ:

1) წყლის გამოსაღების განაკვეთი არტელისა და შეერთებული ძალით მიწის დამშუშავებელი ამხანაგობისათვის იყოს 25%-ით მაინც ნაკლები უწყებული ადგილის ინდივიდუალური საშუალო მეურნეობისათვის განსაზღვრულ წყლის გამოსაღების განაკვეთზე;

2) წყლის გამოსაღების განაკვეთი სასოფლო-სამეურნეო კომუნისათვის იყოს 20%-ით ნაკლები არტელისა და შეერთებული ძალით მიწის დამშუშავებელი ამხანაგობისათვის განსაზღვრულ განაკვეთზე.

2. საშუალო ინდივიდუალურ მეურნეობას, რომელსაც ჰყავს 7 ან 8 მეამელი, ეძლევა შეღავათი შეწერილი წყლის გამოსაღების განაკვეთის 5%-ის რაოდენობის მონაკლების სახით, მეურნეობას, რომელსაც ჰყავს 9 ან 10 მეამელი, 10%-ის რაოდენობით, მეურნეობას, რომელსაც ჰყავს 11 და მეტი მეამელი, 15%-ის რაოდენობით.

3. ყველა ქალაქში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილას, სადაც სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოები, კოოპერატიული ან კერძო ორგანიზაციები და პირები იყენებენ წყალსამეურნეო სისტემებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების მოსარწყავად თუ სამელიორაციოდ, ან იყენებენ წყლის ენერგიას სამრეწველო და ტეხნიკური მიზნით,—შემოღებულ იქნეს წყლის გამოსაღები. აღნიშნული გამოსაღების განაკვეთებს და გამონაგარიშებისა და გადახდევინების წესს დაამყარებენ ა/კსფარ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები.

4. წყლის გამოსაღების შემოსვლამდე, წყლის ქსელის ექსპლოატაციისათვის საჭირო ხარჯების დასაფარავად, სათანადო წყალსამეურნეო ორგანოს შეუძლიან მიიღოს მოკლევადიანი სესხი სასოფლო-სამეურნეო ბანკიდან და დაჰფაროს სესხი წყლის გამოსაღების შემოსავლიდან; ასეთი თანხების მისაღებად თვითეულ ცალკე შემთხვევაში საჭიროა ა/კსფარ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება.

5. ა/კსფარ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს უფლება აქვს გაანთავისუფლოს ამ რესპუბლიკის ტერიტორიაზე სრულად ან ნაწილობრივ წყლის გამოსაღებისაგან მეურნეობათა და საწარმოთა ცალკეული კატეგორიები, ხოლო იმ პირობით-კი, რომ ამ რესპუბლიკისათვის დაწესებული წყლის გამოსაღების საერთო თანხა სრულად იქნეს დაფარული.

6. ა/კსფარ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს შეუძლიან დაბეგროს წყლის გამოსაღებით წყალმოსარგებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეთა კოლექტიური შენაერთები (სამელიორაციო ამხანაგობა), რომელთაც უკისრიათ ამა თუ იმ სისტემის ექსპლოატაცია სრულად ან ნაწილობრივ და რომელნიც ეწევიან ამ ექსპლოატაციასთან დაკავშირებულ ხარჯებს. დაბეგრის წესსა და რაოდენობას განსაზღვრავს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო.

7. განსაზღვრულ იქნეს შემდეგი უკიდურესი ვადები წყლის გამოსაღების გადასახდელად ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში: პირველი ვადა—ნოემბრის პირველს—50% შეწყვეტილი გამოსაღებისა; მეორე ვადა—დეკემბრის პირველს—50% შეწყვეტილი გამოსაღებისა.

ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს უფლება აქვთ დააწესონ წყლის გამოსაღების გადახდის ვადები ცალკეული ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური ერთეულებისათვის ისეთი ვარაუდით, რომ სათანადო რესპუბლიკაში თვითეულ ვადაზე შემოვიდეს არა ნაკლებ გამოსაღების იმ ნაწილისა, რაც ამ ვადაზე მოდის.

შენიშვნა. ინდივიდუალური წესით დაბეგრილი კულაკური მეურნეობანი წყლის გამოსაღებს გადაიხდიან სრულად ნოემბრის 1-თვის.

8. წყლის გამოსაღების გადამხდელნი განცხადებენსა და საჩივრებს შეიტანენ ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სარაიონო და საქალაქო კომისიებში, რომლებიც განიხილავენ ამ განცხადებებსა და საჩივრებს ორი კვირის ვადაზე დღიდან შეტანისა.

განცხადებისა და საჩივრის შეტანისათვის დაწესებულია შემდეგი ვადები:

ა) საჩივარი შემოსავლის წყაროს არასისწორით აღნუსხვაზე, შემოსავლის განსაზღვრაზე და გამოსაღების გამოანგარიშებაზე, ავრეთვე განცხადება შეღავათის მინიჭების შესახებ, გარდა სტიქიური უბედურების გამო მისაცემი შეღავათისა, შეტანილ უნდა იქნეს არა უგვიანეს ერთი თვის ვადისა გადამხდელისათვის საგადასახადო ფურცლის ჩაბარების დღიდან;

ბ) განცხადება სტიქიური უბედურების გამო შეღავათის მინიჭების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს ერთი თვის განმავლობაში სტიქიური უბედურების დღიდან.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ეგიაზარიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ა. ბანოვიჩი.**

1930 წ. სექტემბრის 7.
ტფილისი-სასახლე

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 244 №-ში 1930 წ. სექტემბრის 10-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 278

184. ა/კსფსრ მებამბეობის განვითარების 1930/31 წლის საკონტროლო ციფრების შესახებ.

„მებამბეობის განვითარების 1930/31 წლის საკონტროლო ციფრების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს ა/წ. აგვისტოს 15-ის დადგენილების (დადგ. 337-ა) განსავითარებლად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I. საწარმოო დავალებანი.

1. ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპების დაჩქარებისა, მებამბეობის ხუთი წლის გეგმის ოთხ წელიწადში შესრულებისა და ა/კსფსრ-ში მებამბეობის მაქსიმალურად განვითარებისათვის—ბამბა-ბოჭკოს მოსავალი 1931 წელს ამიერკავკასიაში განისაზღვროს 68.210 ტონნას (4.160.000 ფუთი) რაოდენობით, შემდეგი განაწილებით რესპუბლიკებზე: აზერბაიჯანის სსრ-ში—54.650 ტონნა, სომხეთის სსრ-ში—8.800 ტონნა და საქართველოს სსრ-ში—4.760 ტონნა.

2. საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა ნედლი ბამბის მოსავლიანობა 1 ჰექტარზე გადიდდეს: აზერბაიჯანის სსრ-ში—8,3 ცენტნერამდე, სომხეთის სსრ-ში—11,0 ცენტნერამდე და საქართველოს სსრ-ში - 7,67 ცენტნერამდე, ხოლო ა/კსფსრ-ში საშუალოდ—8,5 ცენტნერამდე, ე. ი. მიმდინარე წელს ფაქტიურად მოსალოდნელ მოსავალზე გადიდდეს 26%-ით.

3. ამ დავალების აღსასრულებლად ბამბის ფაქტიური ნათესის ფართობი 1931 წლის გაზაფხულისათვის განისაზღვროს ინსტრუმენტალური გაზომით: აზერბაიჯანის სსრ-ში—205.000 ჰექტ., სომხეთის სსრ-ში—25.000 ჰექტ. და საქართველოს სსრ-ში—20.000 ჰექტარით, ხოლო მთლად ა/კსფსრ-ში—250.000 ჰექტ.

4. ბამბის ნათესის ფართობის საერთო ნამატი 1931 წლისთვის ა/კსფსრ-ში განისაზღვროს (შეთანასწორებით) 95.000 ჰექტარით შემდეგი წყაროების თანახმად:

ნამატის წყაროები	აზ. სსრ-ში	სომხ. სსრ-ში	საქ. სსრ-ში	სულ ა/კსფსრ-ში
დიდროვანი საირიგაციო მშენებლობა	11.100	2.150	4.300	17.550
წყალსაქანების რემონტი და მათი ექსპლ. გაუმჯობესება	10.000	550	—	10.550
ჭვრილი მშენებლობა	3.100	300	1.050	4.450
არსებული სისტემების ექსპლოატაციის გაუმჯობესება საირიგაციო სისტემის ღიმთავა გამოყენებით და ზამთრის ირათით	30.800	1.000	1.150	32.950
სხვა კულტურების გამოდევნით . .	20.000	5.000	2.900	27.900
ჯამი . .	75.000	9.000	9.400	93.400
გამოსავალი ფართობი 1930 წ. . .	130.000	16 000	10.000	156.000
სულ 1931 წ. (შეთანასწორებით)	205.000	25.000	20.000	250.00

5. ამ ზრდის ანგარაშში მიღებით ბამბის ფართობები სხვადასხვა სისტემის მიხედვით განისაზღვროს:

აზერბაიჯანის სსრ-ში: წყალსაქანებზე—38.400 ჰექტ. (ყარაქალას—3.400 ჰექტ.—ჩათვლით); ქაღრიზებზე—8.600 ჰექტ.; ჩარხებზე—2.340 ჰექტ.; არასაინ-ჯენერო (ადგილობრივ) სისტემებზე—108.200 ჰექტ. და საინჟენერო სისტემებზე —47.500 ჰექტ.

სომხეთის სსრ-ში: საინჟენერო სისტემებზე—2.680 ჰექტ.; წყალსაქანებზე —3835 ჰექტ.; არასაინჟენერო (ადგილობრივ) სისტემებზე—18.480 ჰექტ.;

საქართველოს სსრ-ში: საინჟენერო სისტემებზე—9.700 ჰექტ. და არასაინ-ჟენერო (ადგილობრივ) სისტემებზე 10.300 ჰექტ.

6. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:

ა) დაავალონ მიწათმქმედების სახალხო კომისარიატებს,—მთავარი სამე-ბამბეო კომიტეტის ამიერკავკასიის განყოფილებასთან, სამებამბეო კოოპერაცი-ასთან და წყალთა მეურნეობის სამმართველოებთან ერთად,—სადეკადო ვადის განმავლობაში მოახდინონ დაავალებათა კონკრეტიზაცია ბამბის ფართობებისა, წყალთა ცალკეულ რაიონებისა და სისტემებისა და სამებამბეო ამხანაგობებისა-თვის და გადასცენ სარაიონო ორგანიზაციებს ფართო მასშტაბით განსახილ-ველად;

ბ) დაავალონ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს,—ბამბა-საწმენდი ქარხნების მმართველებთან, წყლის ოლქების გამგეებთან და სარაიონო ჰიდრო-ტეხნიკოსებთან, სამებამბეო კოოპერაციის სარაიონო შენაერთებთან და კოლექ-ტიურ მეურნეობათა სარაიონო შენაერთებთან ერთად,—მოახდინონ სარაიონო დაავალებათა კონკრეტიზაცია ბამბის სექმეში ცალკეული სოფლებისა და კოლექ-ტიურ მეურნეობებისათვის, ჩაატარონ ფართო მასშტაბით განხილვა ნათესი ფართობის გეგმისა—საწარმოო გეგმის შედგენის წესით თვითეული სოფლისა და კოლექტიური მეურნეობისათვის, ხოლო სარწყავი ფართობის გეგმისა—თვითე-ული სისტემისა და არხისათვის, თანაც გამოამჟაღონ მაქსიმალური შესაძლებ-ლობა ბამბის საერთო ნაკვეთის გაფართოებისა და განკუთნონ საჭირო ფართო-ბები ბამბის ნათესისათვის;

გ) დაავალონ სამებამბეო კოოპერაციას და სარაიონონ აღმასრულებელ კო-მიტეტებს დაიწყონ, არა უგვიანეს მიმდინარე წლის სექტემბრის 20-ისა, ყველა რაიონში კამპანია ბამბის საქმისა 1931/32 წლისთვის განსაზღვრულ დაავალება-თა განსახილველად და თვითეული სოფლისა და კოლექტიური მეურნეობისათ-ვის თესვის საწარმოო გეგმების შესადგენად იმ ვარაუდით, რომ გეგმების შედ-გენა და განხილვა დამთავრებულ იქნეს არა უგვიანეს ა/წ. ნოემბრის 1-სა; ამას-თან ერთად დაავალონ სამებამბეო კოოპერაციას რესპუბლიკებში ამავე პერი--ოდის განმავლობაში ჩაატაროს მთესველთა ზედმიწევნითი რეგისტრაცია იმ ბლანკების მიხედვით, რასაც შეიმუშავებს მთავარი სამებამბეო კომიტეტის ამიერ-კავკასიის განყოფილება, სამებამბეო კოოპერაციასთან შეთანხმებით, და განკუთ-ნონ ცალკეული მეურნეობისა და კოლექტიური მეურნეობისათვის განსახღვრულ-ი, წყლით უზრუნველყოფილი ფართობები ბამბის დასათესად, თანაც ანგა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიᲨᲘᲨᲘ მიიღონ, რომ მთლად საზაფხულო წყალი გამოყენებულ უნდა იქნეს მარტოოდენ ბამბისათვის და რომ ფართო პრაქტიკად უნდა იქნეს შემოღებული ღამით რწყვის სისტემა.

7. რადგანაც ბამბის ფართობთა ზრდის ძირითად წყაროდ 1931 წლისთვის დასახულია არსებული წყალთა სისტემების მაქსიმალური და რაციონალური გამოყენება და არასაბამე კულტურების ბამბით გამოდევნა, აგრეთვე, რადგანაც ა/კსფსრ-ᲨᲘ სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის უადრეს ამოცანად უნდა ჩაითვალოს მაქსიმალური გამოყენება მარტოოდენ ბამბისათვის იმ საზაფხულო წყლისა, რაც სამინდვრე კულტურებისათვის არის დანიᲜᲜული,—შეუსაბამოდ იქნეს ცნობილი, რომ ბამბისათვის ვარგისი სარწყავი მიწები გამოყენებულ იქნეს სხვა კულტურებისათვის, როგორიც არის: ბრინჯი, კუნჯუთი, სიმინდი და სხვაგვარი მარცვლეული.

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაᲨᲘ შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ—აღკრძალონ საბამბე რაიონოებᲨᲘ ზემოდ ჩამოთვლილი კულტურების თესვა, რაც კონკურენციას უᲨᲔᲒᲡ ბამბას წყლის ხმარებაᲨᲘ, და ამავე დროს უარჰყონ კონტრაქტაცია ამ კულტურებისა საბამბე რაიონებᲨᲘ.

8. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაᲨᲘ შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ—მიანდონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს, სამებამბეო კოოპერაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოების მონაწილეობით, შეიმუᲨᲐᲝᲜ საბამბე რაიონებიდან არა საბამბე კულტურების გამოდევნის ღონისძიებათა კონკრეტული გეგმა და წარუდგინონ იგი სათანადო რესპუბლიკების სახალხო კომისართა საᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ დასამტკიცებლად არა უგვიანეს ა/წ. სექტემᲑᲠᲘᲡ 20-ისა, ხოლო ამ უკანასკნელᲛᲐ—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ არა უგვიანეს ა/წ. ოქტომᲑᲠᲘᲡ 1-სა.

9. ბამბის მორწყვის კამპანიის გეგმის განხორციელების უᲮᲠᲣᲜᲕᲔᲚᲡᲐᲧᲝᲤᲐᲓ წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაᲨᲘ შემავალი რესპუბლიკების წყალთა მეურნეობის სამმართველოებს სათანადოდ დაანაწილონ რწყვის გეგმაᲨᲘ ნათესები და ისეთი ვარაუდით შეათანხმონ შემოდგომის ნათესების მორწყვის ვადები, რომ აპრილის 5-დან მთლად სარწყავი წყალი მოხმარდეს ბამბის ნათესებს.

10. აღსანᲨᲜᲐᲕᲘᲐ, როგორც აბსოლუტურად შეუსაბამო მოვლენა, ერთის მᲮᲠᲘᲗ—მელიორაციით მიღებული მიწების დაგვიანებით შეგუება, მოელი რიგი საᲑᲐᲛᲑᲔ რაიონების სუსტად დასახლება, გადასახლების საკითხის მოუგვარებლობა, ხოლო მეორეს მᲮᲠᲘᲗ—დიდრონ-დიდრონი მიწების დარიგება, რაც მეურნეობათა შრომის რესსურსებს არ შეეფერება (მაგალითად—სალიან-მუღანის რაᲘᲝᲜᲨᲘ), და ამ სამუᲨᲐᲝᲗᲐ მოუგვარებლობა; ამის გამო წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს:

ა) სასᲠᲧᲐᲤᲝ წესით გადასინჯოს სალიან-მუღანის რაიონის საᲑᲐᲛᲑᲔ მეურნეობათათვის დარიგებული მიწების ოდენობა იმ მᲮᲠᲘᲗ, რომ ეს მიწები შეთანხმებულ იქნეს მეურნეობათა შრომის რესსურსებთან;

Ბ) შეიმუᲨᲐᲝᲗ ერთი თვის ვადაზე მელიორაციით მიღებული ახალი მიწების შეგუებისა და დასახლების კონკრეტული გეგმა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) გამოარკვიოს ახლად დასასახლებელ მეურნეობათა მისაზიდად რაიონები და, თუ საჭირო იქნება, ნუ დაბრკოლდება იმის წინაშე, რომ ეს მეურნეობანი გამოწვეულ იქნენ სსრ-ის კავშირის სხვა რესპუბლიკებიდან;

დ) იხმაროს ღონისძიება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საბამბე რაიონებში საჭირო რიცხვის მიწისმომწყობთა წარგზავნა—ამ რაიონებში სამიწათმწყობო სამუშაოების დასამთავრებლად;

უკეთუ ა/კსფსრ-ში მიწისმომწყობთა რიცხვი საკმარისი არ აიქნება, აღიძრას საკითხი სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა მიწისმომწყობთა დანაკლისი რიცხვი წარმოიგზავნოს კავშირიდან;

ე) არამთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში, კოლექტიური მეურნეობების მოწყობამდე, დაიწესოს მტკიცე ვადები მიწების გადანაწილებისათვის სოფლის შიგნითივე ინდივიდუალურ მეურნეობათა შორის და აწარმოოს ეს გადანაწილება არა უხშირეს, ვიდრე სამს წელიწადში ერთხელ;

ვ) კატეგორიულად აიკრძალოს პრაქტიკაში მიღებული წარამარა-ცვლადი მიწათსარგებლობა;

ზ) მიწათმოწყობის დამთავრებისას და დარიგებული მიწების ოდენობის გადასინჯვის შემდეგ, გამოჰყოს სალიან-მუღანის რაიონში, საბჭოთა საბამბე მეურნეობის მოსაწყობად, მიწის ფართობი არა ნაკლებ 15.000 ჰექტარისა;

თ) გადასახლების საქმის გასაუმჯობესებლად შეიმუშაოს, ერთი თვის ვადაზე, საკითხი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების გამგეობიდან საგადასახლებო სამმართველოების გამოყოფისა და რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან სპეციალური საგადასახლებო კომიტეტების მოწყობის შესახებ;

ი) საბამბე მეურნეობის ინტენსიფიკაციისა და ბამბის ნათესის დამუშავების გაუმჯობესების მიზნით შეიმუშაოს გეგმა და კონკრეტული ღონისძიებანი ეული საბამბე მეურნეობებისა და ნახევრად ეული საბამბე მეურნეობების მკვიდრობაზე გადაყვანისათვის.

11. წინადადება მიეცეს ა/კ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, მე-10 მუხლში აღნიშნული სამუშაოების თავის დროზე შესრულების უზრუნველსაყოფად, შეიმუშაოს ორიკვირის ვადაზე და წარმოადგინოს ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოში კონკრეტულ ღონისძიებათა გეგმა, საჭირო სახსარის ანგარიშში მიღებით.

12. რათა საბამბე რაიონები უზრუნველყოფილ იქნენ მუშათა საჭირო რიცხვით, როგორც საზაფხულო სამუშაოთა პერიოდში, ისე ბამბის მოკრეფის დროს, წინადადება მიეცეს ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატს,—მთავარი სამეცამეტეო კომიტეტის ა/კ. განყოფილებისა, ა/კ. სას.-სამ. ამხანაგობათა კავშირისა და ა/კ. კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრის მონაწილეობით,—შეიმუშაოს საბამბე რაიონების მუშა-ძალით უზრუნველყოფის კონკრეტული გეგმა და წარმოუდგინოს იგი განსახილველად ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს არა უგვიანეს 1931 წ. იანვრის 1-ისა.

13. აღსანიშნავია, რომ საბამბე რაიონების უმეტეს ნაწილში არ არსებობს დასახლებულობათა საწარმოო ამხანაგობების ქსელი, ხოლო სადაც არსებობს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქ მათი მოუშაობა მეტად სუსტია; ამის გამო დაიევალოს ა/კ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ ამხანაგობათა კავშირს (სამებამბეო კოოპერაციის ხაზით), რესპუბლიკების სამებამბეო კოოპერაციის გამგეობათა თავმჯდომარეების პირადი პასუხისმგებლობით, განახორციელოს სამებამბეო კოოპერაციის ქვედა ქსელის რეორგანიზაცია ისეთი ვარაუდით, რომ 1930 წ. დეკემბრის 1-თვის დასახლებულობათა საწარმოო ამხანაგობების ქსელმა მოიცვას მთლად სამბამბე ფართობის 100%-ი.

14. დაეევალოს ა/კ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ ამხანაგობათა კავშირს (სამებამბეო კოოპერაციის ხაზით),—მთავარი სამებამბეო კომიტეტის ამიერკავკასიის განყოფილებასთან შეთანხმებით,—წარმოადგინოს, არა უგვიანეს ა/წ. ოქტომბრის 1-სა, დასახლებულობათა საწარმოო ამხანაგობებისა და სარაინონო შენაერთების ქსელის ორგანიზაციის პროექტი—მათი ფუნქციების ზედმიწევნითი განსაზღვრით და საკომისიო გასამრჯელოს გამოანგარიშებით, რისთვისაც მხედველობაში მიიღოს ზემოაღნიშნული სტრუქტურა (დასახლებულობათა ამხანაგობები და სარაინონო შენაერთები).

15. წინადადება მიეცეს ა/კ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ ამხანაგობათა კავშირს (სამებამბეო კოოპერაციის ხაზით), 1930-31 წლის საკონტროლო ციფრების გაზუსტების წესით, განსაზღვროს ა/კსფსრ-ში ბამბის შესყიდვის პუნქტების საბოლოო ქსელი ისეთი ვარაუდით, რომ მათ რაც შეიძლება უფრო რაციონალური მომსახურეობა გაუწიონ ბამბა-საწშენდ ქარხნებს და რაც შეიძლება მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული წყალსავალი გზები ბამბის ტვირთის ტრანსპორტირებისათვის; აგრეთვე განსაზღვროს ამ მშენებლობისათვის საჭირო ხარჯების რაოდენობა და, მთავარი სამებამბეო კომიტეტის ამიერკავკასიის განყოფილებასთან შეთანხმებით, წარუდგინოს, არა უგვიანეს ა/წ. ნოემბრის 1-სა, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს დასამტკიცებლად.

ამასთან ერთად დაეკისროს მთავარი სამებამბეო კომიტეტის ა/კ. განყოფილებას საერთო მეთვალყურეობა შესყიდვის პუნქტების მშენებლობისათვის.

16. წინადადება მიეცეს ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატს—სამბამბე რაონებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისათვის სამრეწველო საქონლის საგასაცემო ფასებისა და ნორმების განსაზღვრის დროს—არ დაარღვიოს ფასების ნორმალური თანაფარდობა ბამბისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს შორის; თანაც მხედველობაში უნდა იქონიოს, რომ ამ რაიონებში, სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან შედარებით, ხელი უნდა შეეწყოს უპირატესად მებამბეობის განვითარებას.

17. რადგანაც მალარიას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, როგორც ისეთ ფაქტორს, რომელიც ძირს უთხრის მებამბე მოსახლეობის კეთილდღეობას (ძლიერი დაავადება, შრომის უნარიანობის შემცირება და სხვ.) და ამასთანავე არავითარი პროფილაქტიკური ღონისძიება არ არის მიღებული მალარიასთან ბრძოლისათვის,—ამ საკითხის გადაწყვეტას მიეცეს უაღრესი მნიშვნელობა, რისთვისაც:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) დაევალოს სასოფლო და სატყეო მეურნეობის მაუნგბლების წინააღმდეგ ბრძოლის სააქციო საზოგადოებას და მთავარი სამეგობამბეო კომიტეტის ა/კ. განყოფილებას აუცილებლად მონაწილეობა მიიღონ მალარიის წინააღმდეგ ბრძოლაში წყალსამეურნეო სამუშაოთა ხაზით;

ბ) წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან არსებულ სამალარიო კომიტეტებს შეიმუშაონ სასწრაფო წესით სამუშაოთა ხარჯთაღრიცხვები და გეგმები და, არა უგვიანეს ა/წ. დეკემბრის 1-სა, წარუდგინონ დასამტკიცებლად სათანადო რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, ხოლო ამ უკანასკნელებმა შეიტანონ განსახილველად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში 1931 წ. იანვრის 1-თვის.

II. ღონისძიებანი განსაზოგადოებული სექტორისათვის.

1. რადგანაც არსებობს ხელსაყრელი პირობები, როგორიც არის: სრული მოცეა ბამბის ნათესებისა კონტრაქტაციით, ფართოდ გამოყენება მოკლევადიანი საწარმოო და აგრეთვე გრძელვადიანი დაკრედიტებისა, უკვე მომქმედი და ახლად მოსაწყობი მთელი რიგი სამანქანო სატრაქტორო სადგურები და სამანქანო-სატრაქტორო კოლონები, ფართო აგროდახმარება, საბამბე მეურნეობის უდიდესი საქონლიანობა და მრავალი სხვა ფაქტორი, რაც საშუალებას იძლევა საბამბე რაიონებში კოლექტივიზაციის ტემპის აჩქარებისათვის,—საჭიროდ იქნეს ცნობილი კოლექტივიზაციის გაძლიერება ა/კსფსრ მებამბეობის სფეროში.

2. ამის შესასრულებლად დაევალოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, ა/კ. კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრს და სამებამბეო კოოპერაციას, რათა ბამბის ფართობმა კოლექტიურ მეურნეობებში (არტელებში და მწის შეერთებულის ძალით დამმუშავებელ ამხანაგობებში) 1930-31 წელს მიაღწიოს 115.000 ჰექტარამდე (აზერბაიჯანის სსრ-ში—94.000, სომხეთის სსრ-ში—15.000 და საქართველოს სსრ-ში—6.000), რისთვისაც განსაკუთრებული უურადღება მიეცეს კოლექტიურ მეურნეობებისათვის ნივთიერი დახმარების გაძლიერებას, მათი მიწების მოწყობას, გადიდრონებას, აგროდახმარების გაძლიერებას, და კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრის მხრით ინსტრუქტაჟის განმტკიცებას ზრომის ორგანიზაციისა და აღნუსხვის საქმეში კოლექტიურ მეურნეობათა შიგნითვე.

3. წინადადება მიეცეს ა/კ. კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრს და ა/კ. სას.-სამ. კოოპ. ამხანაგობათა კავშირს (სამებამბეო კოოპერაციის ხაზით) შეიმუშაონ ახალი კოლექტიური მეურნეობების მოწყობისა და არსებული კოლექტიური მეურნეობების გადიდრონებისა და გაძლიერების ღონისძიებათა კონკრეტული გეგმა და, ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, შეიტანონ იგი, არა უგვიანეს ა/წ. ოქტომბრის 1-სა, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში დასამტკიცებლად.

4. წინადადება მიეცეს მთავარი სამებამბეო კომიტეტის ა/კ. განყოფილებას გაფართოოს ბამბის ნათესები საბჭოთა მეურნეობებში 1931 წელს 17.000

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჰექტარამდე, შედარებით 3.000 ჰექტართან, რაც 1929 წ. იყო. ამავე დროს დაეკალოს საბჭოთა საბამბე მეურნეობებს აგრომომსახურეობა გაეწიონ იმ სოფლების საბამბე მეურნეობებს, რომლებიც მათ გარშემო არიან 15 კილომეტრის რადიუსზე.

5. დაეკალოს მთავარი სამებამბეო კომიტეტის ა/კ. განყოფილებას მიმდინარე წელსავე შეუდგეს ახალი საბჭოთა საბამბე მეურნეობების მშენებლობის მოსამზადებელ მუშაობას, რისთვისაც, ა/კ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან ერთად, უნდა გამოარკვიოს—მეოღანში, ლემბორანში, ყარიბაში და ლამბალოში საბჭოთა მეურნეობების მოწყობის შესაძლებლობა და, შეათანხმებს რა ამ საკითხს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან, წარმოადგინოს, არა უგვიანეს ა/წ. ნოემბრის 1-ისა, ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოში მოხსენება სათანადო დადგენილების პროექტით ახალი საბჭოთა საბამბე მეურნეობებისათვის საჭირო მიწების ფართობის მიჩენის შესახებ; თანაც მხედველობაში უნდა იქონიოს, რომ ეს მიწები მომზადებულ უნდა იქნეს 1932 სასოფლო-სამეურნეო წლისთვის ნათესების გასაფართოებლად.

6. წინადადება მიეცეს ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატს—თავის დროზე და სავსებით უზრუნველჰყოს ახალი საბჭოთა მეურნეობების მშენებლობა და არსებული საბჭოთა მეურნეობების ექსპლოატაცია მუშათა საჭირო რაოდენობით, ტეხნიკური და აღმნუსხავი პერსონალით (როგორც მუდმივით, ისე სეზონურით). ამ მიზნისათვის ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატმა უნდა მოაწყოს ფართო მომგროვი ქსელი ა/კსფსრ ყველა სოფელ-ადგილას, სადაც კი ზედმეტი მუშა-ხელი მოიპოვება და აგრეთვე უნდა მოაგვაროს კავშირის სხვა რესპუბლიკებიდან მუშების მიზიდვის საქმე.

7. წინადადება მიეცეს ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, ა/კ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და ა/კ. სამომმარტლო კოოპერაციის კავშირს შექმნან საბჭოთა საბამბე მეურნეობათათვის (არსებულთა და შენებულთათვის) განსაკუთრებით ხელსაყოფელი პირობები მათი საშენი მასალით, ავტოტრანსპორტით, მანქანებით და სხვ. მომარაგებისათვის, რისთვისაც საბჭოთა საბამბე მეურნეობები ამ მხრივ გათანასწორებულ უნდა იქნენ საბჭოთა სამარცვლეულო მეურნეობების ტრესტთან, ხოლო მუშებისა და მოსამსახურეების სასურსათო და სამოსეულობის მომარაგების მხრით—დიდრონ საწარმოთა მუშებთან.

8. ეთხოვოს ა/კ. პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს (სასოფლო-სამეურნეო მუშათა და მშენებელთა კავშირების ცენტრალური გამგეობის მუშეობით) მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება საპროფკავშირო მუშაობის დაყენების საქმეს საბჭოთა მეურნეობებში და ახალი საბჭოთა მეურნეობების მშენებლობაში მომუშავე მუშებსა და მოსამსახურეებს შორის და ფართოდ გაშალოს მათ შორის დამკვრელობა და სოციალური შეჯიბრება.

9. განთავისუფლებულ იქნენ საბჭოთა საბამბე მეურნეობები მათ სარგებლობაში ქონებული მიწების საიჯარო გამოსაღებისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. ღონისძიებანი სამამბე მეურნეობების მოსავლიანობის გადიდებისა და რეკონსტრუქციისათვის.

1. რათა ბამბის მოსავლიანობამ 1931 წელს 8,5 ცენტნერამდე მიაღწიოს ჰექტარზე (საშუალოდ ა/კსფსრ-ში), საჭიროდ იქნეს ცნობილი სამამბე მეურნეობებისათვის აგრიკულტურული და აგროტეხნიკური მომსახურეობის გაძლიერება; ამასთანავე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წარმოების პროცესების მექანიზაციის საკითხებს, რადგანაც ამ ამოცანას აქტიური მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით იმ რაიონებისათვის, სადაც დიდრონი მიწის ნაკვეთებია დარგებული და სადაც მუშა-ხელის დეფიციტია.

2. მიზანშეწონილად იქნეს ცნობილი, რათა აგროტეხნიკური ღონისძიებანი განხორციელებულ იქნენ უპირატესად კომპლექსური და ბუდობითი მეთოდით და, ამასთანავე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ძირითად მასივებს, სადაც უფრო შესაძლებელია მებამბეობის მაქსიმალური თვისებითი და რაოდენობითი განვითარება (მუღანი, ყარაბაღი და ალაზანი).

3. ყველა ის ტრაქტორი, რაც სამამბე რაიონებშია და რაც სამამბე რაიონებისათვის მოდის, დაწყებული ა/წ. ოქტომბრის 1-დან, გამოყენებულ იქნეს პირველ რიგში სამამბე მიწების სრულად დამუშავებისათვის.

სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების დასამუშავებლად გამოყენებულ იქნეს განთავისუფლებული საცხენე და სახარე საწევი ძალა.

4. დაევალოს ა/კ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ ამხანაგობათა კავშირს (სამებამეო კოოპერაციის ხაზით), ა/კ. კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრს, მთავარი სამებამეო კომიტეტის ა/კ. განყოფილებას და ტრაქტორცენტრის ა/კ. განყოფილებას განახორციელონ 1930-31 წ. შემდეგი ღონისძიებანი ა/კსფსრ-ში სამამბე მეურნეობებისათვის აგროტეხნიკური მომსახურეობის გაწევის სფეროში:

ა) უზრუნველჰყონ ტრაქტორით მოხენა (საშემოდგომო და საგაზაფხულო) არა ნაკლებ საერთო სამამბე ფართობის 70%-სა, ე. ი. 180.000 ჰექტარისა, საბჭოთა მეურნეობების ჩათვლით;

ბ) ჩაატარონ სამანქანო-სატრაქტორო სადგურების გამოყენებით ზამთრისპირული (საშემოდგომო-საზამთრო) მოხენა არა ნაკლებ, ვიდრე 80.000 ჰექტარზე (აზერბაიჯანის სსრ-ში—65.000 ჰექ., სომხეთის სსრ-ში—10.000 ჰექ. და საქართველოს სსრ-ში—5.000 ჰექ.) და ნაადრევი საგაზაფხულო მოხენა—30.000 ჰექტარზე (აზერბაიჯანის სსრ-ში—25.000, სომხ. სსრ-ში—4.000 და საქართ. სსრ-ში—1.000 ჰექტ.);

გ) ჩაატარონ ბამბის მწკრივი თესვა მანქანით—შემდეგშიაც სამანქანო დამუშავებით (კულტივაცია)—არა ნაკლებ, ვიდრე 110.000 ჰექტარის ფართობზე (აზერბაიჯანის სსრ-ში—90.000, სომხეთის სსრ-ში—14.000 და საქართველოს სსრ-ში—6.000 ჰექტ.); ამასთანავე, ამ ფართობის 20%-ი დათესილი უნდა იქნეს „ფორმოლ" ტრაქტორებით, რათა ამ მიწებზე განხორციელებულ იქნეს მოტოკულტივაცია;

დ) გააპატიონ ხელახლად მინერალური სასუქით არა ნაკლებ 85.000 ჰექტარისა (აზერბაიჯანის სსრ-ში—69.000, სომხეთის სსრ-ში—12.000 და საქართ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველოს სსრ-ში—4.000 ჰექტ.); იმავდროულად განკუთვნონ ბამბის დასათესად ის 35.000 ჰექტარი მიწა (აზერბაიჯანის სსრ-ში—28.000, სომხეთის სსრ-ში—5.500 და საქართველოს სსრ-ში—1.500 ჰექტ.), რაც გაპატიებულ იქნა მიმდინარე წელს;

ე) ჩაატარონ აზერბაიჯანის სსრ-ში ზამთრის არათი არა ნაკლებ, ვიდრე 60.000 ჰექტარის ფართობზე, პირველ რიგში კოლექტიური მეურნეობების მინდვრებზე; წინადადება მიეცეს აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს—დაავალოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს უზრუნველჰყოს მან წყლის მიშვება ამ ფართობზე, ხოლო მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს — დააწესოს მორწყვის დაწყებისა და დამთავრების რაიონობითი ვადები, ხოლო უკიდურესი ვადა არა უგვიანეს 1931 წ. იანვრის 15-სა.

5. სასუქთა ნარევების საგასაცემო ფასები მოსახლეობისათვის დაწესებულ იქნეს საშუალოდ 1 მან. და 10 კაპ. რაოდენობით 16 კილოგრამზე; ამასთანავე, ა/კ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა განსაზღვროს ნორმა ჰექტარზე გასაცემი ნარევის ქიმიური შედგენილობის მიხედვით.

6. მიენდოს ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატსა და მთავარი სამებამბეო კომიტეტის ა/კ. განყოფილებას უზრუნველჰყონ თავის დროზე შემოზიდვა საჭირო რაოდენობის ქიმიური მარილებისა შემდეგი ანგარიშით: აზოტი—4030 ტონნა, ფოსფორის მჟავა—3401 ტონნა და აგრეთვე იმავე მიზნისათვის დაბრონირებულ იქნეს 12.000 ტონნა ბამბის წეწონი.

7. რათა შთაინერგოს სასუქის ხმარება იმ რაიონებში, სადაც იგი პირველად გამოიყენება, საჭიროდ იქნეს ცნობილი სასუქის უფასოდ დარიგება, მთავარი სამებამბეო კომიტეტის ა/კ. განყოფილების ხარჯით, 3.500 ჰექტარის ფართობზე (აზერბაიჯანის სსრ-ში—3.000 ჰექტ. და საქართველოს სსრ-ში—500 ჰექტ.).

8. წინადადება მიეცეს ა/კ. სას.-სამ. კოოპ. ამხანაგობათა კავშირს და ა/კ. კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრს—იმ რაიონებში, რომლებიც მოცულია აგროკომპლექსით, განახორციელონ გრძელვადიანი კონტრაქტაცია 68.000 ჰექტარის ფართობზე, ამ რიცხვში იმ 20.000 ჰექტარის ჩათვლით, რაზედაც გრძელვადიანი კონტრაქტაცია გატარებულ უნდა ყოფილიყო 1929/30 წელს; ამისდამიხედვით, ა/კ. კოლექტიურ მეურნეობათა ბანკთან შეთანხმებით, წარმოადგინონ, არა უგვიანეს ა/წ. ოქტომბრის 1-სა, მოხსენება სამისოდ საჭირო სახსარის თაობაზე; თანაც დაავალოს ა/კ. კოლექტიურ მეურნეობათა ბანკს უზრუნველჰყოს თავის დროზე საჭირო ფულადი თანხების გაცემა.

9. მებამბეობის კოლექტივიზაციისა და მექანიზაციისათვის დასახული პროგრამის შესასრულებლად წინადადება მიეცეს საწარმოო საშუალებებით სასოფლო მეურნეობის მომმართაველ ამიერკავკასიის შერეულ საკავშირო საზოგადოებას:

ა) უზრუნველჰყოს თავის დროზე შემოზიდვა 1930-31 წელს სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ინვენტარისა 4.928.200 მან. თანხის რაოდენობით (უტრაქტორებად), მებამბეობის საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებული განცხადებების თანახმად; სასოფლო-სამეურნეო მანქანების შემოზიდვა განხორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციელებულ იქნეს 25%-ით ა/წ. ოქტომბრის 1-დე, ხოლო დანარჩენი რაოდენობისა—არა უგვიანეს 1931 წლის იანვრის 1-სა;

ბ) დაამთავროს არა უგვიანეს 1930 წ. ოქტომბრის 1-სა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შემოზიდვისა და განაწილებისათვის საჭირო სარაიონთაშორისო საწყობების ორგანიზაცია და დაამყაროს შემდეგი წესი მანქანების მსვლელობისა საგლეხო მეურნეობამდე: სას.-სამ. მანქანების ქარხანა, საწარმოო საშ. სას. მეურნ. მომმარ. ა/კ. შერ. საქ. საზ-ბის სარაიონთაშორისო საწყობი, რაიონულ კოოპერატივთა კავშირი, კოოპერატიული ამხანაგობა, საგლეხო მეურნეობა;

გ) შემოზიდოს თავის დროზე და იქონიოს სარაიონთაშორისო საწყობებში სარემონტო გაწყობილობისა და ტრაქტორების და სას.-სამ. მანქანების სათადარიგო ნაწილების საჭირო რაოდენობა ისეთი ვარაუდით, რომ სასოფლო-სამეურნეო მანქანების მოცდენა არ მოხდეს სათადარიგო ნაწილების უქონლობის გამო.

10. წინადადება მიეცეს ა/კ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატსა და ა/კ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ ამხანაგობათა კავშირს (სამებამბეო კოოპერაციის ხაზით) წარმოადგინონ, არა უგვიანეს ა/წ. სექტემბრის 20-სა, საბამბე რაიონებში სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის რემონტის ორგანიზაციის გეგმა, რისთვისაც მხედველობაში იქონიონ ფუნქციების შემდეგი განაწილება:

ა) სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის დიდროვანი რემონტი დაეკისროს სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს;

ბ) წვრილი რემონტი დაეკისროს სარაიონო სამებამბეო კავშირების სახელოსნობებს;

გ) საწ. საშ. სას. მეურნ. მომმარ ა/კ. შერ. სააქციო საზ-ბის სარაიონთაშორისო საწყობებს დაეკისროს ამ საწყობებში მიღებული სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის მონტაჟი, სათადარიგო ნაწილებით მომარაგება და რემონტის ინსტრუქტაჟი.

11. მიენდოს ა/კ. წარმომადგენლობას აღძრას შუამდგომლობა სსრკ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წინაშე—გამოჰყოს ამიერკავკასიის სამბამბე რაიონებისათვის ტრაქტორები 12.000 HP „ინტერნაციონალ"-ის და „ფორმოლ"-ის მარკისა (335 ცალი) იმ 100.000 HP საერთო კონტინგენტიდან, რაც, სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად, განკუთვნილია სამბამბე რაიონებისათვის. „ფორმოლ" მარკის ტრაქტორები შემოზიდულ იქნეს სათანადო მისაბმელი იარაღით ბამბის დამუშავების მექანიზაციის განსახორციელებლად. აღნიშნული რაოდენობის ტრაქტორთა 25%-ის შემოზიდვა უზრუნველყოფილ იქნეს ა/წ. ოქტომბრის 1-დე, ხოლო დანარჩენი 75%-ისა—1931 წ. იანვრის 1-დე.

12. ტრაქტორების რაც შეიძლება უფრო რაციონალურად გამოყენების მიზნით—საჭიროდ იქნეს ცნობილი—რათა სამამბე რაიონებში ყველა ახლად მიღებული და აგრეთვე უკვე ქონებული ტრაქტორი (იმ ტრაქტორების გარდა, რაც უკვე მიღებულია და საბჭოთა მეურნეობებისათვის განკუთვნილი) გამოყენებულ იქნეს მარტოოდენ სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ორგანიზაციის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეშვეობით. წინადადება მიეცეს სამებამბეო კოოპერაციის რესპუბლიკანურ ცენტრებს ჩააბარონ, არა უგვიანეს ა/წ. ოქტომბრის 1-სა, ყველა მათ განკარგულებაში ქონებული ტრაქტორი და სატრაქტორო სახელოსნო ტრაქტორცენტრის ა/კ. განყოფილებას, რომელსაც დაეკალოს, უკვე ქონებული და ახლად მიღებები ტრაქტორების ბაზისზე, დაუყოვნებლივ შეუდგეს სამამბე რაიონებში სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მოწყობას.

ა/კ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა დეკადის ვადაზე განსაზღვროს ტრაქტორების დატვირთვის ნორმები, ტრაქტორისტების მომზადების წესი და მათი მუშაობის დრო, რისთვისაც მიიღოს მხედველობაში ორცვლა მუშაობა.

ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა, ა/კ. სას.-სამ. კოოპ. ამხანაგობათა კავშირისა, ტრაქტორცენტრის ა/კ. განყოფილებისა და მთავარი სამებამბეო კომიტეტის ა/კ. განყოფილების მონაწილეობით, უნდა განსაზღვროს სამებამბეო კოოპერაციის მიერ ტრაქტორცენტრისათვის ტრაქტორების გადაცემის წესი; იმავდროულად განსაზღვროს სამამბე რაიონებში სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მოწყობის წესი, მათი რაოდენობა და მოწყობის ვადა.

13. რათა შესუსტებულ იქნეს მუშა-ხელის ნაკლებობა, რამაც მიმდინარე წელს თავი იჩინა ზოგიერთ სამამბე რაიონში,—წინადადება მიეცეს ტრაქტორ-ცენტრის ა/კ. განყოფილებას—პურეულის მოსავლის აკრეფისა და გალეშვის მექანიზაციით, განანავისუფლოს მუშა-ხელი ბამბაზე სამუშაოდ, რისთვისაც მოამზადოს სამამბე რაიონების სამანქანო-სატრაქტორო სადგურები სათანადო რაოდენობის სამკელი და სალეში მანქანებით, რომლების მუშაობისათვისაც გამოყენებულ იქნეს სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ტრაქტორები.

14. 1930-31 წელს აგროპუნქტების რიცხვი სამამბე რაიონებში მიღწეულ იქნეს 86-დე, რისთვისაც გათვალისწინებულ იქნეს 28 ახალი აგროპუნქტის გახსნა.

15. სადგომებით უზრუნველსაყოფად განხორციელებულ იქნეს წინამდებარე წელს 42 აგროპუნქტის მშენებლობა, რისთვისაც გათვალისწინებულ იქნეს 1.155.000 მან. გადადება მთავარი სამებამბეო კომიტეტის ხარჯით.

16. სამამბე რაიონებში 1930-31 წელს განსახორციელებელ აგროღონისძიებათა დამტკიცებული გეგმის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების 75%-ი დაეკისროს მთავარი სამებამბეო კომიტეტის ა/კ. განყოფილებას, ხოლო 25%-ი—სამებამბეო კოოპერაციას, კოლექტიურ მეურნეობათა სისტემას და ტრაქტორცენტრის ა/კ. განყოფილებას—სათანადო ნაწილებად.

17. რადგანაც სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მთელ რიგ რაიონებში კოლექტივიზაციის პროცენტი საკმარისი არ არის, საჭიროდ იქნეს ცნობილი, რომ აგროკომპლექსის გატარება უახლოესი წლის განმავლობაში დატოვებულ იყოს სამებამბეო კოოპერაციის ხელში; ხოლო იქ, სადაც ეს პრაქტიკულად შესაძლებელია, აგროკომპლექსის გატარება დაეკისროს მთლად სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს. დაევალოს ა/კ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს გაანაწილოს 1930 წ. ოქტომბრის 1-თვის აგროკომპლექსის გატარების რაიონები სამებამბეო კოოპერაციასა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს შორის.

18. წინადადება მიეცეს ა/კ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს დეკადის ვადაზე შეადგინოს, მინაღები ტრაქტორების რაოდენობის მიხედვით, სამანქანო სატრაქტორო სადგურების განვითარების გეგმა, მათი რიცხვისა, ოდენობისა და რაიონობითი განაწილების აღნიშვნით.

19. წინადადება მიეცეს თთავარი სამებამბეო კომიტეტის ა/კ. განყოფილებას და ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს გააფართოონ საცდელ-საკვლევი მუშაობა ბამბის ნათესისათვის სასუქის გამოყენების ხაზით, რისთვისაც განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ამ საკითხის შესწავლას სარაიონო მასშტაბით, რათა რაც შეიძლება სასწრაფოდ მოხდეს შედეგების პრაქტიკული შეფარდება მასსიური მასშტაბით.

ამავე დროს ა/კ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა შეისწავლოს ა/კსფსრ ცალკეულ რაიონებში ბამბის ბოგარულად თესვის გამოყენების საკითხი და მიიღოს ღონისძიება საცდელი საბუდეების ჩასაყრელად არა ნაკლებ, ვიდრე 1.000 ჰექტარის ფართობზე.

20. რადგანაც ბამბის თესვის თავის დროზე დამთავრებას უაღრესი მნიშვნელობა აქვს, წინადადება მიეცეს ა/კ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და მთავარი სამებამბეო კომიტეტის ა/კ. განყოფილებას, ორი თვის ვადაზე, შეიმუშაონ ბამბის თესვის დამთავრების რაიონობითი ვადები და ბამბის თესვის დამთავრების უკიდურესი ვადა დააწესონ არა უგვიანეს მაისის 15-სა.

21. რადგანაც ეგვიპტის ბამბის კულტურის განვითარებას უდიდესი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს, წინადადება მიეცეს მთავარი სამებამბეო კომიტეტის ა/კ. განყოფილებას—ა/კსფსრ საბჭოთა მეურნეობებში ეგვიპტის ბამბის თესვა მიღწეულ იქნეს არა ნაკლებ, ვიდრე 1.000 ჰექტარის ფართობზე.

22. წინადადება მიეცეს მთავარი სამებამბეო კომიტეტის ა/კ. განყოფილებას და ა/კ. კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრს მოაწყონ ბამბის თესვა გადარგვის მეთოდით 400 ჰექტარის ფართობზე, აქედან 250 ჰექტარი მთავარი სამებამბეო კომიტეტისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების საბჭოთა მეურნეობებში, ხოლო 150 ჰექტ.—კოლექტიურ მეურნეობებში.

23. წინადადება მიეცეს სამებ. მთ. კომიტეტის ა/კ. განყოფილებას—თავის დროზე უზრუნველჰყოს ა/კსფსრ-ში 1930-31 წლის თესვის კამპანიის პერიოდში სამებამბეო ამხანაგობანი საჭირო რაოდენობის ნორმალური თვისების გაუმჯობესებული ჯიშიანი საბამბე თესლით, რაც გატარებულია სათანადო სალაბორატორო კონტროლში.

24. ბამბის სათესლე მასალის თვისების გასაუმჯობესებლად წინადადება მიეცეს მთავარი სამებამბეო კომიტეტის ა/კ. განყოფილებას და ა/კ. კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრს განავითარონ მუშაობა მეთესლეობის დარგში კოლექტიურ მეურნეობათა შორის, რათა 1931 წელს სათესლეების ფართობმა კოლექტიურ მეურნეობებში მიაღწიოს 8.000 ჰექტარამდე.

IV. საერთაშორისო ღონისძიებანი.

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაავალონ წყალსამეურნეო ორგანოებს—სავსე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით უზრუნველჰყონ წყლის მიშვებით 1930-31 წლისთვის, საბამბე პლანტაციების ნავარაუდევი ნამატი 95.000 ჰექტარის რაოდენობით, როგორც ახალი სისტემების მშენებლობით, ისე, განსაკუთრებულად, არსებული სისტემების ექსპლოატაციისა და წყალსარგებლობის გაუმჯობესებით; ამასთანავე, გამოსასვლელად ნავარაუდევი ფართობი უნდა ჩაითვალოს მინიმალურ პროგრამად.

2. რადგანაც 1930-31 წლისთვის ნავარაუდევი საბამბე ფართობის ნამატის უდიდესი ნაწილი იმ ანგარიშით არის გათვალისწინებული, რომ არსებული სისტემების ექსპლოატაცია გაუმჯობესებულ და რაციონალიზებულ იქნება, აგრეთვე, რომ აღმოიფხვრება მტაცებლური მოხმარება წყლისა ბევრი რაიონის მოსახლეობის მიერ,—წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს — დაავალონ რესპუბლიკურ წყალთა მეურნეობის სამართველოებს განახორციელონ შემდეგი ღონისძიებანი:

ა) მოაწესრიგონ ადგილობრივ წყალსარგებლობა არსებულ სისტემებზე;

ბ) სავსებით გამოიყენონ სისტემები ღამღამობით;

გ) განახორციელონ არსებული სისტემების რემონტი მათი ექსპლოატაციის გასაუმჯობესებლად;

დ) მოაწყონ მაქსიმალური გამოყენება წყლისა ზამთრის არათის განხორციელებით.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—შეადგინონ, რესპუბლიკური წყალთა მეურნეობის სამმართველოების მეშვეობით, არა უგვიანეს ა/წ. სექტემბრის 20-ისა, ბამბის ფართობთა რაიონობითი გეგმის მიხედვით, წყალსარგებლობის გეგმები და წესი,—სამდინარეო სისტემებზე, წყალთა რაიონებზე და არხებზე დანაწილებით, და გამოიტანონ წყალსარგებლობის შედგენილი გეგმები და წესი, ბამბის სათესი ფართობების გეგმასთან ერთად, ფართო განხილვისათვის საბამბე რაიონებში, რათა ამ გეგმებმა მიაღწიონ სოფლამდე, კოლექტიურ მეურნეობამდე და ცალკეულ კომლამდე.

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და ა/კ. წყალთა მეურნეობის მშენებლობის სამმართველოს განსაზღვრონ, რესპუბლიკური წყალთა მეურნეობის სამმართველოების მეშვეობით, 1930-31 წლის ყველა საწარმოო წყალსამეურნეო სამუშაოს საკალენდრო ვადები—იმ მხრით, რომ მაქსიმალურად შემკვრივებულ იქნეს სამშენებლო სეზონი, თანაც ისეთი ვარაუდით, რომ ოპერატიული გეგმით გათვალისწინებული სამუშაოების დამთავრება მოხდეს ვადაზე და შეეგუოს გაზაფხულის თესვის კამპანიას, ე. ი. არა უგვიანეს 1931 წ. მარტის 15-სა.

მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება მიღმშენებლობისა, მუღანისა და აზერბაიჯანის სსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის ალაზნის წყალსაქანების სამუშაოთა თავის დროზე დამთავრებას.

5. წინადადება მიეცეს აზერბაიჯანის სსრ-ისა და სომხეთის სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოებს—დაავალონ აზერბაიჯანის წყალთა მეურნეობის სამმართველოს და სომხეთის წყალთა მეურნეობის სამმართველოს—დაუყოვნებლივ შეუდგინენ არსებული წყალსაქანების გადაჯგუფებას, რემონტსა და რე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტრუქციას ისეთი ვარაუდით, რომ სამუშაოები დამთავრებულ იქნეს არა უგვიანეს 1931 წ. თებერვლისა; ამასთანავე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რემონტის თვისებას.

6. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაავალონ რესპუბლიკანურ წყალთა მეურნეობის სამმართველოებს გააძლიერონ სამუშაოები ადგილობრივი სისტემების ნაწილობრივი და ძირითადი გადაკეთებისათვის, დამტკიცებული გეგმის თანახმად, ისეთი ვარაუდით, რომ სამუშაოები დამთავრებულ იქნეს არა უგვიანეს 1931 წლის მარტის 15-სა.

7. წინადადება მიეცეს აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს—დაავალოს აზერბაიჯანის წყალთა მეურნეობის სამმართველოს განახორციელოს მდ. არაქსისა და მტკვრის ნაპირების გასამაგრებელი სამუშაოები ზამთრის პერიოდში, ისეთი ვარაუდით, რომ ეს სამუშაოები დამთავრებულ იქნეს არა უგვიანეს, ვიდრე 1931 წლის მარტის ბოლოს; ამის შემდეგ მოსახლეობის მობილიზაცია ნაპირების გასამაგრებელი სამუშაოების წარმოებისათვის აიკრძალოს, გარდა სტიქიურ უბედურებათა მოვლენისა.

8. დაევალოს ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატს — უზრუნველჰყოს 1930-31 წლ. წყალსამეურნეო სამუშაოები თავის დროზე კრედიტების გახსნით, განსაკუთრებით პირველი კვარტალის კრედიტების—წყალსაქანებისა, ზვრილი მშენებლობისა და შემობექურებისათვის, რადგანაც პირველი კვარტალი უფრო ხელსაყრელი პერიოდია სეზონისა საირრიგაციო მშენებლობის ამ ნაწილის შესასრულებლად.

9. დაევალოს ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატსა და სსრკ-ის კოლექტიურ მეურნეობათა ბანკის ა/კ. განყოფილებას—უზრუნველჰყონ სარემონტო და სხვა სამუშაოები საჭირო კრედიტების გაცემით სამელიორაციო ფონდიდან.

10. მოსახლეობის მასსებში კულტურის წარმატებისა და წყალსარგებლობის ტეხნიკის გაუმჯობესებისათვის დაევალოს მთავარი სამებამბეო კომიტეტის ა/კ. განყოფილებას, ამერკაკავასიის წყალთა მეურნეობის საცდელ-საკვლევო ინსტიტუტის მონაწილეობით, შეიმუშაოს და წარმოადგინოს, ორი დეკადის ვადაზე, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში დასამტკიცებლად პროექტი წყალმინიმუმის შესახებ, აგრომინიმუმის მსგავსად, როგორც ყველა წყალმოსარგებლისათვის სავალდებულო კომპლექსი სარწყავ რესურსების რაციონალურად გამოყენების სხვადასხვა ხერხისა.

11. წინადადება მიეცეს ა/კ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და მთავარი სამებამბეო კომიტეტის ა/კ. განყოფილებას, წყალთა მეურნეობის საცდელ-საკვლევო ინსტიტუტის მონაწილეობით, გასინჯოს და გააზუსტოს წყალთა მეურნეობის მომუშავეთა კადრების მომზადების გეგმა, კერძოდ—ექსპლოატაციის დარგში მომუშავეთა მომზადებისა, გამოსასვლელი საბამბე მიწების გეგმის გაფართოების შესაბამისად. იმავდროულად მიმაგრებულ იქნენ მთავარი სამებამბეო კომიტეტის რწმუნებულზე და წყალთა მეურნეობის სამმართველოებზე ა/კსფსრ უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებლებისა და ტეხნიკუბის მიერ გამოშვებული ყველა ირრიგატორნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოს—1930-31 წლისთვის დასახული საირრიგაციო მშენებლობის გეგმის უზრუნველსაყოფად—მოახდინონ არა უგვიანეს ა/წ. ოქტომბრის 1-სა რესპუბლიკანური წყალთა სამმართველოების რეორგანიზაცია შემდეგ საფუძვლებზე:

ა) გაანთავისუფლონ რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოები დიდროვან მშენებლობათა სამეშაოებისაგან და გადასცენ ეს სამუშაოები ა/კ. წყალთა მეურნეობის მშენებლობის ტრესტს და ა/კ. წყალთა მეურნეობის გამოკვლევისა და პროექტირების ტრესტს;

ბ) ჩამოერთვას სხვა ორგანიზაციებს საწყალსაქანო მეურნეობა—ყველა დანადგამით, ქონებით, მასალით, ფულადი სახსრით და პირადი შედგენილობით—და წყალსაქანები გაერთიანდეს ერთ საწყალსაქანო მეურნეობად რესპუბლიკანურ წყალთა მეურნეობის სამმართველოების შედგენილობაში;

გ) მოაწყონ ამ მიზნისათვის რესპუბლიკანურ წყალთა მეურნეობის სამმართველოების შედგენილობაში მექანიაური მორწყვის სამმართველოები—წყალსაქანების პროექტირებისა, მშენებლობისა, რემონტისა და ექსპლოატაციის ფუნქციებით;

დ) შეიმუშაონ და წარმოადგინონ ორი კვირის ვადაზე ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში დასამტკიცებლად დადგ. პროექ. მექანიკური სარწყავი წყლის სარგებლობისათვის გამოსაღების დაწესების შესახებ, ისეთი ვარაუდით, რომ მექანიკური სარწყავი წყლის სარგებლობისათვის განსაზღვრული გამოსაღები არ აღემატებოდეს თვითდენიანი სისტემისათვის დაწესებულ საშუალო განაკვეთს უფრო მეტჯერ, ვიდრე ერთი-ორად; ამასთანავე, მოსალოდნელი დეფიციტი წყალსაქანების საექსპლოატაციო ხარჯებისა მიეწეროს წყლის გამოსაღებს.

13. წინადადება მიეცეს აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს—ვალდებულნაყოს აზერბაიჯანის სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველო—არა უგვიანეს ა/წ. ოქტომბრის 1-სა—განახორციელოს საექსპლოატაციო სამსახურის რეორგანიზაცია მუღანზე იმ მხრით, რომ ძირითადად მიწესრიგებულ იქნეს წყალსარგებლობა მუღანის სისტემებზე და მოისპოს წყლის მტაცებლური ხარჯვა.

14. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს განახორციელონ ღონისძიებანი საექსპლოატაციო დარგის მომუშავეთა შედგენილობის გაუმჯობესებისა და დაკომპლექტებისათვის ადგილებზე, და აგრეთვე მათი საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

15. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—გამოსცენ განსაკუთრებული დადგენილება, რომლის ძალითაც სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა, აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთა პირადი პასუხისმგებლობით, უნდი უზრუნველჰყონ ხელისშეწყობა წყალთა მეურნეობის ორგანოებისათვის წყალსარგებლობის სათანადოდ მოგვარებისა, ღამით მორწყვისა, ზამთრის არათისა, მოსახლეობის სამუშაოზე გამოსელისა ნატურალური ბეგარის წესით და წყლის გამოსაღების გადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხდევინების საქმეში, აგრეთვე იმ სხვა ღონისძიებათა განხორციელების საქმეში, რაც წყალმოსარგებლეთა შორის სათანადო საწარმოო დისციპლინის შთანერგვას ეხება.

16. წყალსამეურნეო სამუშაოების საშენი მასალით და მუშა-ძალით დაუცადებელი მომარაგებისათვის დაეკავალოს ა/კ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, —ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა. ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატისა და ა/კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიის (სამშენებლო სექტორის ხაზით) მონაწილეობითა და მთავარი სამებამბეო კომიტეტის ა/კ. განყოფილებასთან შეთანხმებით,—წარმოუდგინოს ერთი თვის ვადაზე ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ამ სფეროში საჭირო ღონისძიებათა პროექტი.

17. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, ზემოდ ჩამოთვლილი წყალსამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად, ვალდებულჰყონ რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოები მოისმინონ არა უგვიანეს ა/წ. ოქტომბრის 1-სა სათანადო მოხსენება—კონკრეტულ ღონისძიებათა აღნიშვნით.

V. საბამბე მეურნეობათა მომარაგება.

1. რათა თავიდან აცილებულ იქნეს ბამბის მთესველთა შეფერხებით მომარაგება, რამაც წინად თავი იჩინა, და რადგანაც ეს მომარაგება, საერთოდ, ადგილებზე არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში იყო, წინადადება მიეცეს ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატ', „სოიუზხლებ"-ის ა/კ. კონტ., ა/კ. სამომხმარებლო კოოპ. ამხანაგობათა კავშირს, ა/კ. სახ.-სამ. კოოპ. ამხანაგობათა კავშირს (სამებამბეო კოოპერაციის ხაზით) და მთავარი სამებამბეო კომიტეტის ა/კ. განყოფილებას — სისტემატიური მეთვალყურეობა იქონონ მომარაგებისათვის სამრეწველო და სასურსათო საქონლის შემოზიდვის დამტკიცებული გეგმების ფარგლებში, და იხმარონ ყველა საჭირო ღონისძიება სამომხმარებლო კოოპერაციის ქვედა სისტემის განსამტკიცებლად და მის მიერ ბამბის მთესველთათვის ნორმალური მომსახურობის გასაწევად.

2. წინადადება მიეცეს მთავარი მებამბეობის კომიტეტის ა/კ. განყოფილებას, ა/კ. სახ.-სამ. კოოპ. ამხანაგობათა კავშირს (სამებამბეო კოოპერაციის ხაზით) და ა/კ. სამომხმარებლო კოოპ. ამხანაგობათა კავშირს—შეადგინონ პერით და სამრეწველო საქონლით ბამბის მთესველთა მომარაგების გეგმა წლიური მასშტაბით, საკალენდრო წლის საფუძველზე, და გაკეცმა გაანაწილონ სამ პერიოდზე: კონტრაქტაციის პერიოდი, მიწის შემოყრის პერიოდი და ნედლი ბამბის შესყიდვის პერიოდი.

3. წინადადება მიეცეს მთავარი მებამბეობის კომიტეტის ა/კ. განყოფილებას და ა/კ. სახ.-სამ. კოოპ. ამხანაგობათა კავშირს (სამებამბეო კოოპერაციის ხაზით) განსაზღვრონ საბამბე რაიონებში შესაზიდი საქონლის საერთო კონტინგენტი, განაწილების წესი და ნორმები და, ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმების შემდეგ, წარმოადგინონ დასამტკიცებლად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში არა უგვიანეს ა/წ. ნოემბრის 1-სა.

4. მიმდინარე წლის შესყიდვის კამპანიის მაგალითის მსგავსად დაწესებულ იქნეს 1931 წლის თესვის კამპანიის პერიოდისათვის ბამბის მთესველთა საგარანტიო მომარაგება იმ პრინციპის მიხედვით, რომ ისინი დაყოფილ იქნენ სოციალურ ჯგუფებად და მათ მიერ თესვისა და ნედლი ბამბის ჩაბარების სფეროში ნაკისრებ ვალდებულებათა შესაბამისად, და რომ განსაზღვრულ იქნეს გასაცემი სამრეწველო საქონლის წლიური ნორმები ბამბის მთესველთა მიერ ჩასაბარებელი ნედლი ბამბის ღირებულობის 60%-ის რაოდენობით.

5. მიენდოს ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატს 1930-31 წლისთვის ბამბის მთესველთა საგარანტიო მომარაგებაში გაითვალისწინოს 80%-ით მომარაგება ბამბეული მანუფაქტურით, ბრინჯით, ჩაით, შაქრით, მცენარეული ზეთით, საპნით, ფეხსაცმლით, ტყავეული საქონლით და 20%-ით მომარაგება სხვა საქონლით (სოლიკატი, რკინეული საქონელი, რკინა, მარილი, სასარაჯო მასალა და სხვ.).

6. წინადადება მიეცეს მთავარი სამებამბეო კომიტეტის ა/კ. განყოფილებას და ა/კ. სას.-სამ. კოოპ. ამხანაგობათა კავშირს, ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, წარმოადგინონ, არა უგვიანეს ა-წ. ოქტომბრისა, პურის შემოზიდვის გეგმა—საკალენდრო დაყოფით და მისი განაწილების გეგმა, რაც დამყარებულ უნდა იქნეს 1930-31 წ. კამპანიის პერიოდში ბამბის მთესველთა დიფერენციალური მომარაგების სისტემაზე, სოციალური ჯგუფების მიხედვით.

7. წინადადება მიეცეს ა/კ. სამომხმარებლო კოოპ. ამხანაგობათა კავშირს და მთავარი სამებამბეო კომიტეტის ა/კ. განყოფილებას წარმოადგინონ ორი დეკადის ვადაზე ა/კ.სფსრ სახალხო კომისართა საბჭოში სპეციალური მოხსენება—სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის მეშვეობით ბამბის მთესველთა მომარაგების წესის შესახებ.

VI. კ ა დ რ ე ბ ი.

საბამბე მეურნეობათათვის აგროტეხნიკური მომსახურეობის გაწევის გეგმის შესასრულებლად და იმის გამო, რომ მებამბეობის ხაზით მომუშავე როგორც აგროტეხნიკური, ისე ტეხნიკური პერსონალი რიცხვობრივ მეტად ნაკლებია და დაბალი კვალიფიკაციისა,—საჭიროდ იქნეს ცნობილი:

1. აზერბაიჯანის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტიდან წინამდებარე პერიოდში გამოსაშვებ პირთა 80%-ი მიმაგრებულ იქნეს „პამბუკბირლიგზე“ (აზერბაიჯანის სამებამბეო კოოპერაციის კავშირი) და აზერბაიჯანის სსრ კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრზე.

2. უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებიდან გამოშვებულ პირთა 50%-ი სომხეთის სსრ-ში და 30%-ი საქართველოს სსრ-ში მიმაგრებულ იქნეს სამებამბეო ორგანიზაციებზე.

3. აზერბაიჯანის სსრ მებამბეობის ტეხნიკუმებიდან წინამდებარე პერიოდში გამოსაშვებ პირთა 75%-ი მიმაგრებულ იქნეს სამებამბეო კოოპერაციაზე და ა/კ. კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრზე, ხოლო 25%-ი—მთავარი სამებამბეო კომიტეტის ა/კ. განყოფილებაზე—საბჭოთა საბამბე მეურნეობათათვის.

4. მებამბეობათა და წყალთა ორგანიზაციების და სამებამბეო კოოპერაციის მთელი აგრონომიული და საინჟენერო-სატეხნიკო პერსონალი ჩაითვალოს მობილიზებულად ერთის წლით.

ამავე დროს მიზანშეწონილად და საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა გაზაფხულის ბამბის თესვის კამპანიაში ჩაბმულ იქნეს შუა-აზიიდან მოწვეული არა ნაკლებ 100 გამოცდილი მოწინავე გლეხისა ინსტრუქტორების სახით; ამის განხორციელება დაეკისროს მთავარი სამებამბეო კომიტეტის ა/კ. განყოფილებას.

ეთხოვოს მთავარ სამებამბეო კომიტეტსა და შუა-აზიის ორგანიზაციებს ხელი შეუწყონ ამ საქმეს.

5. მთავარი სამებამბეო კომიტეტის ა/კ. განყოფილებამ, ა/კ. კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრმა და ა/კ. სას.-სამ. კოოპ. ამხანაგობათა კავშირმა—არა უგვიანეს ა/წ. ნოემბრის 1-სა—უნდა მოაწყონ საბჭოთა ერთ-ერთ საბამბე მეურნეობაში ექვსთვიანი კურსები 60 კაცისათვის—გლეხთაგან აგრონომიის პრაქტიკოსების მოსამზადებლად; ეს 60 კაცი შერჩეულ უნდა იქნენ იმ კოლმეურნეთა და ღარიბ და საშუალო გლეხთაგან, რომელთაც გამოიჩინეს უნარი და ცოდნა ბამბის დამუშავებისა და მოსავლიანობის გადიდების საქმეში; აღნიშნული კურსების მსმენელნი უზრუნველყოფილ უნდა იქნენ სათანადო კონტრაქტაციით; საამისო ხარჯი მიეწეროს ზემოხსენებულ ორგანიზაციებს.

დაეკალოს მთავარი სამებამბეო კომიტეტის ა/კ. განყოფილებას ასი კაცი მოწინავე გლეხთაგან გაგზავნოს შუა-აზიაში 3 თვის ვადით ბამბის საქმის დაყენების შესასწავლად.

6. ა/კ. კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრმა და ა/კ სას.-სამ. კოოპერატიულ ამხანაგობათა კავშირმა უნდა მოაწყონ კოლმეურნეთა მოსამზადებლად მოკლევადიანი კურსები არა ნაკლებ, ვიდრე 3.000 კაცისათვის, რომელთაც უნდა შეისწავლონ სას.-სამ. მანქანების (სათესი, კულტივატორი), ხმარების ელემენტარული ხერხი, მორწყვის ხერხი, მიწის გაპატიება და ცხენების მოვლა. კურსები მოეწყოს კოოპერაციის ქვედა აგრონომიული ქსელის აგროპერსონალის ძალებით, ისეთი ვარაუდით, რომ კურსები მოქმედობდეს წინამდებარე 1930/31 წლის ზამთრის განმავლობაში.

კურსების შესანახად საჭირო ხარჯი დაეკისროს მთავარი სამებამბეო კომიტეტის ა/კ. განყოფილებას.

7. ა/კ. კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრმა, ა/კ. სას.-სამ. კოოპ. ამხანაგობათა კავშირმა (სამებამბეო კოოპერაციის ხაზით) და მთავარი სამებამბეო კომიტეტის ა/კ. განყოფილებამ უნდა განახორციელონ წინამდებარე ზამთრის პერიოდში, არა უგვიანეს, ვიდრე 1931 წლის იანვრის 1-თვის დამთავრებით,—მთელი ქვედა აგრომეურნეობის გარდამზადება სპეციალურ კურსებზე. საამისო ხარჯები დაეკისროს ზემოაღნიშნულ ორგანიზაციებს.

8. ტრაქტორისტების მოსამზადებლად, კერძოდ—იმ ტრაქტორისტებისა, რომელთაც უნდა იცოდნენ ბამბის მწკრივად თესვა და დამუშავება „ფორმოლ“ ტრაქტორებით, წინადადება მიეცეს ა/კ. კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრს, მთავარი სამებამბეო კომიტეტის ა/კ. განყოფილებას და ტრაქტორცენტრის ა/კ. განყოფილებას—მოაწყონ, არა უგვიანეს ა/წ. ოქტომბრის 1-სა, სპეციალური

ეროვნული ბიბლიოთეკა

კურსები 500 ტრაქტორისტისა და 1.500 მესაპესათვის. საამისო ხარჯების ის ნაწილი, რაც სამინანანო სატრაქტორო სადგურების ტრაქტორისტებისა და მესაპეების მომზადებას დასჭირდება, დაეკისროს ტრაქტორცენტრის ა/კ. განყოფილებას, ხოლო რაც კოლექტიურ მეურნეობათ დასჭირდებათ—მთავარი სამებამეო კომიტეტის ა/კ. განყოფილებას.

9. წინადადება მიეცეს მთავარი სამებამძეო კომიტეტის ა/კ. განყოფილებას მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება ა/კ. მებამბეობის ინსტიტუტის მსმენელთა შეუწყვეტელი საწარმოო პრაქტიკის დაყენების საქმეს.

10. მებამბეობის ტეხნიკუმები სალიანში, გოქჩაში და ნახიჩევანში გადაიცეს მთავარი მებამბეობის კომიტეტის რწმენებულის გამგებლობაში.

ამავე დროს, რადგანაც საჭიროა 3 დანარჩენი მებამბეობის ტეხნიკუმის (აღდამისა და განჯისა აზერბაიჯანის სსრ-ში და ერევნისა—სომხეთის სსრ-ში) აგრეთვე მთავარი სამებამბეო კომიტეტის ა/კ. განყოფილების გამგებლობაში გადაცემა, წინადადება მიეცეს ა/კ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს სთხოვოს სსრკ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ნებართვა ამ გადაწყვეტილებისათვის—სათანადო სახსარის გაცემით; აგრეთვე აღძრას სსრკ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წინაშე საკითხი ახალი მებამბეობის ტეხნიკუმის გახსნის ოაობაზე სარვანში თურქულ ენაზე თურქული კადრების მოსამზადებლად.

11. წინადადება მიეცეს მთავარი სამებამბეო კომიტეტის ა/კ. განყოფილებას თავის დროზე შეავსოს აღნიშნული ტეხნიკუმები საჭირო რაოდენობის მსმენელებით და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სოციალურ შერჩევას.

12. წინადადება მიეცეს მთავარი სამებამბეო კომიტეტის ა/კ. განყოფილებას, მებამბეობის ტეხნიკუმების სასწავლო გეგმების აგების დროს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მათში საწარმოო პრაქტიკის ორგანიზაციისა და დაყენების საქმეს.

13. წინადადება მიეცეს ა/კ. სას.-სამ. კოოპ. ამხანაგობათა კავშირს (სამებამბეო კოოპერაციის ხაზით) და ა/კ. კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრს—თვითეულ საბამბე რაიონში მოაწყონ თითო სანიმუშო-საჩვენებელი კოლექტიური მეურნეობა და განსაკუთრებული ყურადღება მიაქცეონ ამ კოლექტიურ მეურნეობებში ბამბის დამუშავების პროცესების მაქსიმალურ მექანიზაციას და შრომის სათანადო ორგანიზაციასა და აღნუსხვას.

14. მიენდოს ა/კ. წარმომადგენლობას აღძრას სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე შუამდგომლობა მებამბეობის ორგანიზაციების აგროპერსონალის ერთი წლით განმეორებითი სამხედრო სამსახურისაგან განთავისუფლების შესახებ.

VII. საორგანიზაციო ღონისძიებანი.

1. პასუხისმგებლობა ამა დადგენილების თავის დროზე და სავსებით შერულებისათვის დაეკისროს პერსონალურად ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარს, მთავარი სამებამბეო კომიტეტის რწმენებულს, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების თავმჯდომა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეებს, ხოლო რაიონებში —სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს.

2. საერთო მეთვალყურეობა, კონტროლი და ამა დადგენილების შესრულების შემოწმება დაეკისროს თესვის კამპანიისათვის დანიშნულ განსაკუთრებულ რწმუნებულს.

ის ორგანიზაცია, რომელსაც დაკისრებული აქვს ამა თუ იმ ფუნქციის შესრულება, მოვალეა შეასრულოს იგი საზედმიწევნო ვადაზე დაწესებულების ხელმძღვანელის პირადი პასუხისმგებლობით და პერიოდიულად ანგარიში წარუდგინოს განსაკუთრებულ რწმუნებულს.

განსაკუთრებული რწმუნებული მოვალეა თვითეულ ორ დეკადაში ერთხელ წარუდგინოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მოხსენება 1930-31 წლის საბამბე კამპანიის მომზადებისა და მსვლეობის შესახებ.

3. დადგენილება ესე მიწვდენილ იქნეს საბამბე რაიონების სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებამდე.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ეგიაზარიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ა. ბანოვიჩი.**

1930 წ. სექტემბრის 5.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“ ს 249 №-ში 1930 წ. სექტემბრის 15-ს.

№ 279.

185. „ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული შრომის ბაზრის საბჭოს დებულების“ მე-2 მუხლის დამატების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I. „ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული შრომის ბაზრის საბჭოს დებულების“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-13 №-ი, მუხ. 152) მე-2 მუხ. დამატებულ იქნეს მიი, რომ საბჭოს შედგენილობა შეიესოს ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული მშრომელ ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისიის წარმომადგენლით.

II. წანადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს შეუთანხმონ თავიანთი კანონმდებლობა ამა დადგენილებას.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ეგიაზარიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ა. ბანოვიჩი.**

1930 წ. სექტემბრის 8.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 253 №-ში 1930 წ. სექტემბრის 19-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 280.

186. იმ მებამბეთა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ, რომელთაც ბოროტი განზრახვით არ დათესეს ბამბა, იმ მებამბეთა შესახებ, რომელთაც არ შეასრულეს საკონტრაქტაციო ვალდებულებანი და იმ მებამბეთა დაპრემირების შესახებ, რომელთაც შეასრულეს საკონტრაქტაციო ვალდებულებანი.

„1930-31 წელს ბამბის მოკრეფის კამპანიის ჩატარების შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აგვისტოს 28-ის თარიღისა და 276 №-ის დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-17 №-ი, მუხ. 182) დასამტკიცებლად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. რათა აღმოფხვრილ იქნეს შემთხვევები საკონტრაქტაციო ვალდებულებათა დარღვევის და შეუსრულებლობისა ბამბის ზოგიერთ მთესველთა მიერ, განსაკუთრებით კულაკური ჯგუფების მიერ, წინადადება მიეცეს სამებამბეო კოოპერაციას ბამბის მოკრეფის წინამდებარე კამპანიის პერიოდში შეუფარდოს არა-მუყაოთ და ბოროტი განზრახვით შომმქედ მთესველთ შემდეგი ღონისძიებანი გადასახდელის ხასიათისა:

ა) ის მთესველთ, რომელიც თავის საკონტრაქტაციო ვალდებულებას ბამბის დათესვისას არ შეასრულებს სავსებით ან დაკონტრაქტებული ფართობის 60%-ზე მეტი რაოდენობით, ხოლო ის კულაკი, რომელიც არ შეასრულებს თავის ვალდებულებას ბამბის დათესვისას 25%-ზე მეტი რაოდენობით,—გარდა ხელშეკრულობით გათვალისწინებული პირგაუტეხელობის ჯარიმის გადახდეევნებისა,—მიცემულ უნდა იქნეს პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების საათანადო მუხლების თანახმად—ბოროტი განზრახვით ვალდებულების შეუსრულებლობისათვის; ამასთანავე, პირველი ჰკარგავს შეპირობებული რაოდენობის პურისა და სამრეწველო საქონლის მიღების უფლებას;

ბ) დანარჩენ მთესველთ, რომელიც შეასრულებენ საკონტრაქტაციო ვალდებულებათ წინა მუხლში აღნიშნულ რაოდენობაზე ნაკლებ ფარგლებში, ბამბის შესყიდვის კამპანიის დამთავრების შემდეგ, დაეკისრებათ საკონტრაქტაციო ხელშეკრულობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა, რისთვისაც ანგარიშში მიღებულ უნდა იქნეს მათ მიერ ჩაბარებული ნედლი ბამბის რაოდენობა და მათი სოციალურ-ეკონომიური მდგომაოეობა.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, უკეთუ საკონტრაქტაციო ხელშეკრულობები მასსიურად იქნება დარღვეული სოფლის მებამბეთა მიერ, პასუხისგებაში მისცენ, მთესველთა გარდა, აგრეთვე იმ ორგანიზაციების ხელმძღვანელნი, რომელნიც უშუალოდ აწარმოებენ სბამბე კამპანიას.

3. წინადადება მიეცეს სამებამბეო კოოპერაციას:

1) დეკადის ვადაზე შეადგინოს იმ მთესველთა სია, რომელთაც საკონტრაქტაციო ვალდებულებანი არ შეასრულეს ხელშეკრულობაში გათვალისწინებული წესით დადასტურებულ სტიქიურ უბედურებათა გამო; მთესველნი დანაწილებულ უნდა იქნენ სამ კატეგორიად: ა) ის მთესველნი, რომელთა ნათესებიც დაზარალდა არა უმეტეს, ვიდრე 25%-ით; ბ) 25%-დან 50%-დე; გ) 50%-ზე მეტად.

2) ბამმის წინამდებარე მოკრეფის კამპანიაში შეფარდებულ იქნეს იმ მთესველთათვის, რომელთა ნათესებიც სტიქიური უბედურებისაგან დაზარალდა, მომარაგების შემდეგი ნორმები:

ა) ის მთესველნი, რომელთა ნათესებიც სტიქიური უბედურებისაგან დაზარალდა არა უმეტეს, ვიდრე 25%-ით, ხოლო რომელთაც გამოიჩინეს შესაძლებლობა ჩაბარონ არა ნაკლებ დაკონტრაქტებული ნედლი ბამბის რაოდენობის 70%-სა, მოიმარაგებიან პურით და სამრეწველო საქონლით მოსავლიანობის ხელშეკრულობაში გათვალისწინებული რაოდენობით;

ბ) ის მთესველნი, რომელთა ნათესებიც სტიქიური უბედურებისაგან დაზარალდა 25%-დან 50%-დე, ხოლო რომელთაც გამოიჩინეს შესაძლებლობა ჩაბარონ არა ნაკლებ დაკონტრაქტებული ნედლი ბამბის რაოდენობის 50%-სა, მოიმარაგებიან პურით და სამრეწველო საქონლით ფაქტიურად ჩაბარებული ნედლი ბამბის რაოდენობის შესაბამისად; ხოლო, ამასთანავე, პურისა და სამრეწველო საქონლის რაოდენობა არ უნდა იყოს მოსავლიანობის ხელშეკრულობით გათვალისწინებული საერთო რაოდენობის 70%-ზე ნაკლები;

გ) ის მთესველნი, რომელთა ნათესებიც სტიქიური უბედურებისაგან დაზარალდა 50%-ზე მეტი რაოდენობით, ბამბის შესყიდვის კამპანიის ბოლოს, მოიმარაგებიან პურით და სამრეწველო საქონლით მოსავლიანობის ხელშეკრულობაში გათვალისწინებული საერთო რაოდენობის 50%-ით.

4. ის მთესველნი, რომელთა ნათესებიც სტიქიური უბედურებისაგან დაზარალდა, სრულიად განთავისუფლდებიან ხელშეკრულობით გათვალისწინებული პირგაუტეხლობის ჯარიმისაგან.

5. იმ მთესველების ფულადი დავალიანება, რომელთა ნათესებიც დაზარალდა სტიქიური უბედურებისაგან 30%-ზე მეტი რაოდენობით, გადაიტანება შემდეგი წლისთვის—კანონიერი პროცენტების დარიცხვით.

6. საკონტრაქტაციო ვალდებულებათა მუყაითად შესრულებისა, მიღებული ავანსების დაფარვისა და დაკონტრაქტებული ნედლი ბამბის სრული რაოდენობით ან გადამეტებით ჩაბარების სტიმულირებისთვის—წინადადება მიეცეს სამგბამბეო კოოპერაციას დაიპრემიოს წინამდებარე საბამბე კამპანიის პერიოდში მთესველნი შემდეგი წესით:

ის კოლექტიური მეურნეობა და ბაშბის მთესველი, რომელიც სავსებით შეასრულებს თავის ვალდებულებას მიღებული ავანსების მიმდინარე წელს დაფარვისას და რომელიც გადამეტებით შეასრულებს საკონტრაქტაციო ვალდებულებას დათესვისა და ნედლი ბამბის ჩაბარებისას,—ხელშეკრულობით გათვალისწინებულ რაოდენობაზე ხედმეტად ჩაბარებული თვითეული ფუთი ნედლეულისათვის დაპრემირდება 4 კილოგრამი პურისა (მარცვლეულად) ან ერთი მეტრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბამბეული მანუფაქტურის მიცემით—კოლექტიური მეურნეობის გამგეობისა თუ ინდივიდუალური მთესველის სურვილისამებრ.

7. მუყაითი კოლექტიური მეურნეობებისა და ბამბის მთესველების დაპრემირება მოხდება შესყიდვის კამპანიის დამთავრებისას, როდესაც გამოირკვევა შილებული ავანსების დაფარვისა და ნედლი ბამბის ჩაბარების საკონტრაქტაციო ვალდებულებათა შესრულების შედეგები.

შენიშვნა. კულაკური მეურნეობები სრულიადაც არ დაპრემირდება.

8. დაპრემირებას აწარმოებენ მთავარი სამმბამბეო კომიტეტის ა/კ. განყოფილება და სამბამბეო კოოპერაცია იმ ფონდიდან, რაც შეიქმნება ბოროტი განზრახვით მომქმედ მთესველთათვის მიუცემელი პურისა და სამრეწველო საქონლისაგან. უკეთუ ასეთი ფონდი არ შეიქმნა ან იგი საკმარისი არ არის, ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი და ა/კსფსრ სამომხმარებლო კოოპ. ამხანაგობათა კავშირი უზრუნველჰყოფენ დაპრემირებას საქონლის სათანადო კონტინგენტით.

9. მიენდოს ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატსა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ვაჭრობის სახალხო კომისარიატებს თვალყური ადევნონ სამბამბეო კოოპერაციის მიერ პრემიალური ფონდის სისწორით ხარჯვას.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**
ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმას. **ა. ბანოვიჩი.**

1930 წ. სექტებრის 13.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 252 №-ში 1930 წ. სექტემბრის 18-ს.

შეცდომის გასწორება.

ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-15 №-ი, მუხლი 165.

1) 27 მუხლიდან სიტყვების „ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და“-ს შემდეგ ამოიშალოს სიტყვები „ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი“.
2) 34 მუხლის „ვ“ პუნქტში სიტყვა „ნაკეთობათა“ შეიცვალოს სიტყვით „გამოცემათა“.

საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა.
მთავლ. № 2244. ტირაჟი 1.400